# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 16 დეკემბერი 2004 №292 (2313) ფასი 50 თეთრი


# ტოტალიზატორებს ტოტალურად აბითურებენ

ბრიტანულ ბუქმეიკერულ კანტორა „ბეთფაირს" შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი დაემართა. აბა, „პანიონიოს" — „დინამოს" ამბავი როგორ არ გეხსომებათ და, ახლა ეს ტოტალიზატორი გერმანულადაც გაყვლიფეს — მეორე ბუნდესლიგის მატჩზე მავანთ ნახევარი მილიონი ევრო დადეს და ანგარიში გამოიცნეს.

სინდრომით დავრდომილ „ბეთფაირს" თავისი დაემართა, ხოლო გერმანიის საფეხბურთო კავშირმა გამოძიება დაიწყო. პირველად გავრცელებული ცნობებით, ერთი ექვმიტანილი „ესენი" იყო, მერე კი დაზუსტდა: ლაპარაკი აუე — „ობერჰაუზენის" 2:0-ზე იყო.

ჰოდა, მეკუშეებსაც მიეცათ საქმე, ამ ამბავსაც ყბად იღებენ და რაგინდარა დასკვნებსაც გამოიტანენ.

## აუე! გერმანელებმა ინგლისელებს 2:0 გაარტყეს



# ბაკურ გოგიტიძე ჭიდაობის პრეზიდენტია

## პარლამენტარებმა მოჭიდავეებს ტყუილად უკირკიტეს



ჭიდაობას რა უნდოდა და, ფედერაციის პრეზიდენტის არჩევა. ძნელი საქმე არ გახლდათ, რაკი კანდიდატი მხოლოდ ერთი იყო — ყოფილი მოჭიდავე ბაკურ გოგიტიძე ყრილობამ ყოველგვარი პრობლემების, დავა-კამათის თუ გაწევ-გამოწევის გარეშე აირჩია. თუმცა იყო მცირე ჩოჩქოლი— სხდომაზე მიწვეულმა პარლამენტარებმა დავით კირკიტაძემ და გია ნაცვლიშვილმა დელეგატებს არჩევნების გადავადება შესთავაზეს. როგორც თავად ახსნეს, ჭიდაობის ინტერესებიდან გამომდინარე, სასურველი იყო, მოჭიდავეები სპორტის დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარის დანიშვნას დალოდებოდნენ. თუმცა ლოდინის და გადავადების იდეას არავინ აჰყვა, გოგიტიძის არჩევისას ყველა დელეგატმა ყოყმანის გარეშე შემართა მანდატი.





# სეირი ოსერისგან

## რეინჯერსი ჯახირით გავარდა

UEFA CUP

ახლანდელი „რეინჯერსი" რომ მოჯახირე და მოჯაჯგურე გუნდია, არაერთხელ გვითქვამს. „რეინჯერსმა" გუშინაც იჯაჯგურა და იმდენი ქნა, უეფას თასიდან გავარდა.

ვერაფრით გამოიჩინეს თავი ზურაბ ხიზანიშვილმა და შოთა არველაძემ, მათ გუშინ ხეირიანი თამაში არ ეწერათ. გი რუს გაწვრთნილმა „ოსერმა" „აიბროქსზე" ფეხბურთი ითამაშა, ხოლო „რეინჯერსი" მხოლოდ დარბოდა და ჭიდაობდა. არველაძე და ხიზანიშვილი კი ასეთი გუნდისთვის შეუფერებელი ფეხბურთელები არიან და იქნებ „რეინჯერსიდან" მათი წასვლა გუშინდელმა ჩაფლავებამაც დააჩქაროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი

ჯგუფური ეტაპი. IV ტური. გუშინ

### E ჯგუფი

**მიდლსბრო 3:0 პარტიზანი**

1:0 ნემეტი (10), 2:0 დეზირე-ჟობი (22), 3:0 ჯ. მორისონი (90)

**ვილიარეალი 4:0 ეგალეო**

1:0 ექტორ ფონტი (13), 2:0 გიარე (39), 3:0 ხავი ვენტა (53), 4:0 კაზორლა (64)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიდლსბრო | 4 | 3 | 0 | 1 | 6:2 | 9 |
| ვილიარეალი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:2 | 8 |
| პარტიზანი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:6 | 5 |
| ლაციო | 4 | 0 | 3 | 1 | 5:7 | 3 |
| ეგალეო | 4 | 0 | 1 | 3 | 2:11 | 1 |

### F ჯგუფი

**რეინჯერსი 0:2 ოსერი**

0:1, 0:2 ბ. კალუ (10, 47)

რეინჯერსი: შ. კლოსი, რიკსენი, მ. ენდრიუსი, ბუმსონგი, ვინალი, ნამუში (ა. რაე 80), ხიზანიშვილი (პატონი 55), მალკოლმი, არველაძე, პრსო, ნოვო

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

გაფრთხილება: ვინალი (52)

მსაჯი: ფრანც-ქსავიერ ვაკი (გერმანია)

48 847 მაყურებელი

**გრაცერი 2:0 ალკმაარი**

1:0 აუფჰაუზერი (41), 2:0 კოლმანი (54)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალკმაარი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 9 |
| ოსერი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:3 | 7 |
| გრაცერი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| რეინჯერსი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:3 | 6 |
| ამიკა | 4 | 0 | 0 | 4 | 3:16 | 0 |

### G ჯგუფი

**ჰერენვენი 1:0 ბევერენი**

1:0 ბრუგინკი (26)

**შტუტგარტი 2:1 დინამო**

1:0 ტიფერტი (15), 1:1 ბოშნიაკი (66), 2:1 მეირა (75)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტუტგარტი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:3 | 9 |
| ბენფიკა | 4 | 3 | 0 | 1 | 9:5 | 9 |
| ჰერენვენი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 7 |
| დინამო | 4 | 1 | 1 | 2 | 9:7 | 4 |
| ბევერენი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:15 | 0 |

### H ჯგუფი

**აეკ 0:2 ალემანია**

0:1 მეიერი (56), 0:2 დ. გომესი (84)

**ლილი 1:0 სევილია**

1:0 მუსილუ (77)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 4 | 3 | 0 | 1 | 5:3 | 9 |
| სევილია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| ალემანია | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ზენიტი | 4 | 1 | 2 | 1 | 9:6 | 5 |
| აეკ | 4 | 0 | 0 | 4 | 4:12 | 0 |

### 1/16 ფინალში ითამაშებენ

მიდლსბრო (ინგლისი)
ვილიარეალი (ესპანეთი)
პარტიზანი (სერბეთი)
ალკმაარი (ჰოლანდია)
ოსერი (საფრანგეთი)
გრაცერი (ავსტრია)
შტუტგარტი (გერმანია)
ბენფიკა (პორტუგალია)
ჰერენვენი (ჰოლანდია)
ლილი (საფრანგეთი)
სევილია (ესპანეთი)
ალემანია (გერმანია)

## ინგლისი

ასოციაციის თასი
II ეტაპი. გადათამაშება

**ნოტსი 2:0 სუინდონი**

*საქართველოში საფეხბურთო სეზონის ნახევარი გაილია, არდადეგებია, პროფესიული ფეხბურთის ლიგას კი საქმე კვლავაც ბევრი აქვს, რადგან ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატს კვლავაც აქვს ხარვეზები და ესეც რომ არა, ერთ ადგილზე გაჩერება არ შეიძლება.*
*გუშინ ოფისში ვესტუმრეთ პროფლიგის გენერალურ მდივან რევაზ ლორთქიფანიძეს და მისგან ზოგადის გარდა საყურადღებო ამბებიც შევიტყვეთ*

WORLD ANTI-DOPING AGENCY
play true



# გაისად მოშარდვაც მოგიწევთ
## ქართულ ჩემპიონატში WADA შემოდის

— წინა ჩემპიონატთან შედარებით მეთექვსმეტე ეროვნულში მაყურებელმა იკლო — რა შეუძლია პროფლიგას, ამას რომ დაუპირისპიროს?

— მარტო პროფლიგა ვერაფერს შეძლებს, კლუბებმა უფრო მეტი უნდა იმუშაონ გულშემატკივრებთან.

— პროფლიგის სპონსორები რამდენად კმაყოფილები არიან თქვენთან თანამშრომლობით?

— სპონსორები კმაყოფილები არიან. პროფლიგის სახელფასო სისტემა ჩვენი ერთ-ერთი სპონსორის „საქართველოს ბანკის" პლასტიკური ბარათებით ფუნქციონირებს, მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ჩვენი ყველა თანამშრომელი „ჯეოსელის" აბონენტი იყოს. ერთი სიტყვით, ყველანაირად ვცდილობთ ჩვენი სპონსორების რეკლამირებას.

— სპონსორები თუ კმაყოფილები არიან, ალბათ მათგან შემოსული თანხები უნდა გაიზარდოს...

— „კოკა-კოლამ" და „საქართველოს ბანკმა" უკვე გაზარდეს ჩვენთვის გამოსაყოფი თანხები, იგივეს აპირებს „ჯეოსელიც". სპონსორების რეკლამირებას ჩვენს ვებგვერდზეც ვეწევით, რომელსაც დღეში მინიმუმ ათასი სტუმარი ჰყავს.

— ტელეტრანსლაციების უფლების გაყიდვას როდის შეძლებს პროფლიგა?




— იმ დონემდე ჯერ არ ვართ, რომ ეს გავაკეთოთ. მთავარია, ჩვენი ჩემპიონატის მატჩებზე მაყურებელმა მკვეთრად იმატოს — თუ ეს მოხდება, საქმის უდიდესი ნაწილი უკვე გაკეთებული იქნება.

— წინა ჩემპიონატში სპონსორებისგან შემოსული თანხა 300 000 ლარს შეადგენდა — ამ ჩემპიონატისთვის ეს თანხა გაიზარდა?

— არა, რადგან ორი სპონსორი მოგვაკლდა — „სნიკერსი" და „ნიკორა", თანაც დოლარის კურსი დაეცა, სპონსორებთან კი მეტწილად დოლარის შესაბამისი კურსით გვქონდა ხელშეკრულებები დადებული. ახლა იმაზე ვმუშაობთ, რომ სპონსორებთან მინიმუმ სამწლიანი კონტრაქტები გავაფორმოთ.

— დღესდღეობით რამდენი სპონსორი დარჩა პროფლიგას?

— ოთხი: „კოკა კოლა", „საქართველოს ბანკი", „ჯეოსელი" და BCI.

— საქართველოს ჩემპიონატში და თასის გათამაშებაში დოპინგ-კონტროლის შემოღებას არ აპირებთ?

— ჩვენ უკვე დავიწყეთ მუშაობა სპორტული მედიცინის ასოციაციასთან და ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ. ამ ორგანიზაციას უკვე ჰყავს ორი სპეციალისტი, რომლებსაც საერთაშორისო ლიცენზია აქვთ.

— არის მითქმა-მოთქმა იმის შესახებ, რომ ჩვენი ჩემპიონატის არაერთი ფეხბურთელი ნარკოტიკების მომხმარებელია...

— დოპინგ-ტესტი აკრძალულ პრეპარატებს ავლენს და მათ შორის ნარკოტიკებსაც, ჰაშიშსაც კი. ამიტომაც გვინდა დოპინგ-კონტროლის შემოღება.

— ანალიზებს ეს ორი სპეციალისტი გამოიკვლევს?

— ამ სპეციალისტებს WADA-ს ლიცენზია აქვთ. ეს საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელსაც თავისი ლაბორატორია თბილისში ჯერ არ აქვს. ანალიზები გამოსაკვლევად უცხოეთში გაიგზავნება.

— პროფლიგა სეზონის წინ უმაღლესი ლიგის გუნდებისგან 300 000-ლარიან გარანტიას მოითხოვდა, თუმც გამოჩნდა, რომ რამდენიმე გუნდს ფინანსური პრობლემები აქვს — „სიონს", „დილას" და „ბათუმს"...

— „სიონმა" ჩვენს სპონსორ „საქართველოს ბანკიდან" 15-ათასლარიანი კრედიტი აიღო და ამ თანხას უეფადან მიღებული დახმარებით დაფარავს — ვისაც ასაკობრივი ანუ ბავშვთა გუნდები ჰყავს, უეფასგან ყოველწლიურად 28 ათასი შვეიცარიული ფრანკი ერგება. „სიონს" პრობლემები იმიტომ შეექმნა, რომ მისი სპონსორის „მადნეულის" ხელმძღვანელობა შეიცვალა და დროებითი შეფერხება მოხდა. „დილას" ინტერტოტოზე სამონაწილეო თანხაც ერგება უეფასგან, „ბათუმს" კი იქაური პორტი თვეში 50 ათას ლარს ურიცხავდა, მაგრამ ეს დახმარება შეუწყდა. თუმც, იმედი გვაქვს, რომ „ბათუმი" უპატრონოდ არ დარჩება.

**დავით თავართქილაძე**

## უქართველებო ალანია თუ სულაც უალანიობა?

**ვლადიკავკაზის** „ალანია" კრიზისშია. ოსებს ფული წყალივით დაუწყდათ და, შესაძლოა, ისეც მოხდეს, მომავალ სეზონში პრემიერლიგაში თამაში აუკრძალონ. პარალელურად გაჩნდა ცნობები, რომ „ალანიას" მოკვეთის შემთხვევაში ადგილის „ყიდვა" კრასნოდარის „ყუბანს" შეუძლია. ყუბანელები ამ ჩემპიონატის ბოლოს გამოეთხოვნენ პრემიერლიგას, თუმც მცირე შანსი აქვთ, „ალანიას" ჩაენაცვლონ.

ამის ფონზე კიდევ უფრო გამოირიცხა ვლადიკავკაზში ქართველების დარჩენა— ვიტალი დარასელია, მიხეილ ყაველაშვილი და ლევან გვაზავა ისედაც ცდილობენ ოსებისგან თავის დახსნას და ეს სურვილი კლუბის გასაჭირში ჩავარდნით მით უფრო გაუძლიერდებათ.



## დემეტრაძე მილანში, კალაძე მილანელოში

**უკრაინის** ჩემპიონატის პირველი წრე წინა უქმეებზე დამთავრდა, იტალიის სერია A კი სანახევროდ ამ შაბათ-კვირას გასრულდება. „მილანი" ჩემპიონატის ლიდერ „იუვენტუსს" ეთამაშება. ვერ გეტყვით, ამ მატჩში კახა კალაძე ითამაშებს თუ არა, მაგრამ ტრიბუნაზე მისი ერთი ქართველი ქომაგი მაინც იქნება — გიორგი დემეტრაძე, რომელმაც დონეცკის „მეტალურგში" თავისი საქმე მოილია და ახლა მეგობარს სტუმრობს.

დემეტრაძე უკვე ორი დღეა, მილანშია. კალაძე რომ გუნდთან ერთად მილანელოში ვარჯიშობს და „იუვენტუსისთვის" ემზადება, გიორგი ინდივიდუალური პროგრამით ცდილობს სათამაშო ფორმის შენარჩუნებას, საღამოს კი ჩვენები ერთად არიან.

კალაძე და დემეტრაძე მილანიდანვე დასასვენებლად ერთად წავლენ. თბილისში კი ერთ კვირაში ჩამოვლენ და არაა გამორიცხული, ტრადიციულ „ბენდელას თასის" მინიტურნირშიც ითამაშონ.

**ლუკა თალაკვაძე**

# ზესტაფონში მარტო გუნდს არ აკეთებენ

## ორნაირ სტადიონსაც



*ზესტაფონში რომ დიდი საფეხბურთო ამბებია, ამის შეხსენება ზედმეტი იქნება. ჩემპიონატის პირველი ეტაპი დამთავრებულიც არ იყო, როცა „ზესტაფონის“ შესაძლო ხმაურიან ტრანსფერებზე ალაპარაკდნენ, ამბობდნენ და ახლაც ხშირად ისმის, ზესტაფონელებს ისეთ ფეხბურთელებზე უჭირავთ თვალი, საქართველოს პირობაზე საუკეთესოებად რომ ითვლებიანო. იმერლები უფრო შორსაც წავიდნენ და ამ ორი კვირის წინ უკრაინული „ტავრიადან“ ზურაბ იონანიძე და კახა ჩხეტიანი დაიმატეს. მთავარი ტრანსფერები ამ გუნდს კიდევ წინ აქვს, თუმც სასურველ ფეხბურთელთა ვინაობას ჯერ არ აკონკრეტებენ. სამაგიეროდ, „ზესტაფონი“ სხვა საკითხს აკონკრეტებს — ზესტაფონში უახლესი წარმოების ხელოვნურსაფარიანი მოედნის კეთება უკვე დაიწყეს, მარტიდან კი ქალაქის ცენტრალური სტადიონის მთლიანი რეკონსტრუქცია იწყება და მოედნის საფარიც საქართველოში საუკეთესო იქნება.*

*„ზესტაფონის“ პრეზიდენტს ილია კოკაიას გუშინ სწორედ ამ ამბების გასაგებად დავუკავშირდით ...*

— ზესტაფონში ცენტრალური სტადიონის გვერდით მიწის ფართობი გამოვნახეთ და იქ უკვე სტანდარტული ზომის ხელოვნურსაფარიანი მოედნის კეთება დავიწყეთ. საფარი ბოლო თაობის იქნება, ისეთი, როგორიც ყოფილ საბჭოთა კავშირში ერთი ან ორი თუ იქნება. ამ მოედანს როცა მოვაწესრიგებთ, ცენტრალურ სტადიონსაც მივხედავთ. მთლიანად შეიცვლება გაზონი, დავამატებთ ერთ ტრიბუნას, სათანადოდ მოვაწყობთ მიმდებარე ტერიტორიას, ტაბლოს ავანთებთ...

— ვიდრე ცენტრალურ სტადიონს გააკეთებთ, „ზესტაფონი“ სად ითამაშებს?

— პროფლიგამ თუ ნება დაგვრთო, სტუმრებს ხელოვნურსაფარიან მოედანზე ვუმასპინძლებთ. თუ არა და, ან თერჯოლაში ვითამაშებთ, ან წყალტუბოში, ანაც ქუთაისში.

— და როდიდან დაიწყება სტადიონის რეკონსტრუქცია?

— მარტიდან. ჯერ ხელოვნურსაფარიანს გავაკეთებთ, მერე კი ცენტრალურზე იდეალურ ბუნებრივ გაზონს დავაგებთ. სამუშაოებს ახლავე დავიწყებდით, მაგრამ ამინდი ხელს არ გვიწყობს.

— მარტში რომ დაიწყებთ, როდის დაამთავრებთ?

— როგორც ამ საქმის სპეციალისტებმა გვითხრეს, ორ თვეში სამუშაოები მთლიანად დამთავრდება.

— ახალ მოედნებზე ახალი ფეხბურთელები ითამაშებენ? ამბობენ, „ზესტაფონი“ ბევრი ტრანსფერის მოლოდინშიაო...

— ჯერ ვერაფერს გეტყვით. სატრანსფერო საკითხებზე მწვრთნელი უკეთ გიპასუხებთ.

— მაშინ ის გვითხარით, უცხოელი ფეხბურთელების დამატებას თუ აპირებთ?

— ვერ გეტყვით.

— „ზესტაფონის“ მიზანი ევროსარბიელზე თამაშია?

— ჯერ ძლიერი კლუბი შევქმნათ და ჩამოვაყალიბოთ და ევროპაში თამაშზე მერე ვიფიქრებთ. მიზნებიც გუნდის სიძლიერის შესაბამისი გვექნება. ევროსარბიელზე თუ მოვხვდებით, ღირსეულად უნდა ვითამაშოთ და არ შევრცხვეთ. ვნახოთ, შესაძლებლობებს გადავხედავთ და მეორე ეტაპის დაწყების შემდეგ ვიტყვით, რისთვისაც ვიბრძოლებთ...

იქამდე კი ჩვენ გეტყვით, რომ „ზესტაფონი“ სეზონისთვის მზადებას 4 იანვარს განაახლებს.

**კობა ინასარიძე**

# გაგეცინებათ და, ბეთფაირს ისევ გაუკეთეს

*უცნაურია, ღმერთმანი!*
*გაიცინო თუ გაიკვირვო,*
*ვერ გაგიგია...*
*ამბავი, რომელმაც*
*გერმანული ფეხბურთის*
*მამები ააფორიაქა, ირიბ*
*კავშირშია თბილისის*
*„დინამოსთან“...*

გერმანიის საფეხბურთო კავშირი გამოძიებას იწყებს. ეჭვმიტანილები მეორე ბუნდესლიგის კლუბები, „ესენი“ და ერცგებირგეს აუე არიან. მიზეზი სხვა რა იქნება — გარიგებული თამაში.

და საიდან აგორდა ეს ამბავი? საიდან და, ბრიტანული საბუქმეიკერო კანტორა „ბეთფაირისგან“. კანტორის ბუქმეიკერთა განცხადებით, „ესენ“ — აუე-ს მატჩზე დადებული ფსონები ძალიან საეჭვო გამოდგა. თურმე კლუბ „ესენთან“ დაახლოებულმა პირებმა ნახევარი მილიონი ევრო დადეს ამ თამაშის ანგარიშზე, ანუ მათი აზრით, მასპინძლები 0:2 წააგებდნენ და... ასეც მოხდა — ხვიჩა შუბითიძის გუნდმა „ესენს“ 2:0 მოუგო...

გახსოვთ, ცხადია, „პანიონიოს“ — „დინამოს“ საუეფასთასო მატჩი და მას მოყოლილი სკანდალი, რომელიც სწორედ „ბეთფაირმა“ ატეხა. მთელ მსოფლიოს ემცნო, ბერძნებმა და ქართველებმა იცულლუტესო. ამ საქმეს დღემდე იძიებენ უეფა და საბერძნეთის პროკურატურა.

გინდა, არ გინდა, იკითხავ, ამ „ბეთფაირს“ ან პატრონი არა ჰყავს, ან ჭკუა ვერ ისწავლა, ან წარამარა წუწუნი რა სახეირო საქმე ჰგონია...

**ლუკა თალაკვაძე**

# გიორგი ჭელიძეს შიმშილობა ძვირად დაუჯდა

## დინამოზე ხმებია, უცხოეთზე ჭორი



მე-16 ეროვნული ჩემპიონატი გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძისთვის უიღბლოდ დაიწყო. „თბილისის“ ერთ-ერთი ლიდერი იშვიათად ჩნდებოდა მოედანზე და ისიც ოდენ შეცვლებზე.

ახლა კი ხმა დაირხა, ჭელიძით „დინამო“ დაინტერესდაო. ისიც თქვეს, გიორგის უცხოური ვარიანტებიც აქვსო, თუმც თავად ფეხბურთელი ამ ყველაფერს ვერ ადასტურებს. პირადად არავინ დამკავშირებიაო, გვითხრა გიორგიმ გუშინ და სატრანსფერო ამბების გარდა სხვაზეც გვესაუბრა...

— „დინამოს“ დაინტერესების შესახებ არაფერი ვიცი. ჩემთვის არავის უთქვამს, შენი გადაყვანა გვინდაო. მხოლოდ გაზეთებიდან და ნაცნობებისგან გამიგია „დინამოს“ თაობაზე, მაგრამ კონკრეტული არაფერი ყოფილა.

— რომ იყოს შემოთავაზება, დათანხმდები?

— არ ვიცი. ეს მარტო ჩემზე ისედაც არაა დამოკიდებული. გააჩნია, კლუბები რას იტყვიან. „თბილისს“ ვეკუთვნი და ასე ხელაღებით ვერ წავალ.

— ამბობენ, თითქოს უცხოური ვარიანტებიც გაქვს...

— ამაზე ნაღდად ვერაფერს გეტყვი, უფრო ჭორი მგონია.

— კეთილი. სხვაც ვთქვათ: ეს სეზონი, ფაქტობრივად, ჩაგივარდა...

— ჰო, ძველებურად ველარ ვითამაშე. ძალიან ბევრი გამიცდა და ვერ ავინაზღაურე. მართლა ცუდი პერიოდი გადავიტანე.

— გლანდების ოპერაციამ ასე გაგაწვალა?

— ვიჩქარე, არ უნდა გამეკეთებინა ოპერაცია. არ მეგონა, ასე ძვირად თუ დამიჯდებოდა ეს დანაკარგი.

— თვლი, რომ პირველი ეტაპი გააცდინე?

— ასეა. ოპერაციის შემდეგ ერთი კვირა ვიწექი, თერთმეტი დღე კი არაფერი მიჭამია, აკრძალული მქონდა. ფიზიკური ალნაგობით ისედაც არ გამოვირჩევი და უარესად დავსუსტდი. უფრო ამის გამო ვერ აღვიდგინე ფორმა — არაფრის თავი არ მქონდა.

— და ახლა როგორ გრძნობ თავს?

— კარგად. არაფერი მაწუხებს და მოსამზადებელ ეტაპზე სრულად უნდა დავიხარჯო. ეს არის ჩემი შანსი და გამოვიყენებ.

— მისკოვში, „თანამეგობრობის თასზე“ „ვიტ ჯორჯიას“ ნაცვლად „თბილისი“ აპირებდა წასვლას და ეს საკითხი ხომ არ გარკვეულა?

— ჯერ არა. შეიძლება წავიდეთ, შეიძლება არა...

**კახა შალამბერიძე**



# კობა შალამბერიძე: პირველი მერცხალი დინამოს ფანჯარაში

თბილისური „სპარტაკის“ ერთ-ერთი გამორჩეული ნახევარმცველი კობა შალამბერიძე „დინამოში“ გადავიდა — ეს არის ქართული სატრანსფერო პერიოდის ერთ-ერთი პირველი რეალური ამბავი.

20 წლის შალამბერიძე ფეხბურთის ქომაგს წინა ჩემპიონატიდან ეხსომება, როცა „სპარტაკში“ ახალმისულმა საგაზაფხულო ეტაპზე 9 მატჩი ჩაატარა დ 5 გოლი გაიტანა. მაშინვე ითქვა, შალამბერიძით რამდენიმე კლუბი დაინტერესდაო, მაგრამ კობამ სათამაშო პრაქტიკის მიზნით „სპარტაკში“ დარჩენა გადაწყვიტა და, როგორც ჩანს, არც შემცდარა — დღეს ხომ ის საქართველოს საუკეთესო კლუბშია.

„დინამო“ ახლა შვებულებაშია და შალამბერიძეც გუნდს 5 იანვარს შეუერთდება, თუმცა არც ისაა გამორიცხული, მან „დინამოს“ მაისურა კარსმომდგარ ტრადიციულ „ბენდელას თასზეც“ მოირგოს.

აქვე გეტყვით, რომ შალამბერიძისთვის გია გეგუჩაძე უცხო მწვრთნელი სულაც არაა — „სპარტაკამდე“ შალამბერიძე სწორედ გეგუჩაძის ხელმძღვანელობით თამაშობდა ჯერ „დინამო 3“-ში, მერე კი „დინამო 2“-ში.

**ლუკა თალაკვაძე**

# უშველის არევაძე არეულ სიონს?

ბოლნისურ „სიონს“ ზამთრის შესვენებამ სულზე მოუსწრო. დაუძლურებულ გუნდს მოვლა-პატრონობა ახლა სჭირდება, შემადგენლობა აუცილებლად გასაძლიერებელია და თუ მონდომება იქნება, ამის გასაკეთებლად ორთვიანი პერიოდი სრულიად საკმარისი უნდა იყოს. დღეისთვის მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ბოლნისის რაიონის გამგებელი შეიცვალა — ზვიად ვეშაპიძის ნაცვლად გია არევაძე დაინიშნა. ვეშაპიძე „სიონის“ სამზარეულოში ჩახედული კაცი იყო, თუმც გუნდს ვერც ამან დაატყო ხელი. ვნახოთ, არევაძის მოსვლით რა შეიცვლება...

ის კი ნაღდია, რომ „სიონს“ პეტრე დანელიას გუნდის უფროსობიდან წასვლით ბევრი დააკლდება — დანელია და „სიონი“ ხომ ერთმანეთის გარეშე წარმოუდგენელი იყო. რაც შეეხება ფეხბურთელების შემატებას, ამის შესახებ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ყიფშიძემ ვერაფერი გვითხრა: რამდენიმე დღეა, თბილისში სამწვრთნელო სემინარებზე ვარ, კლუბის ხელმძღვანელობას კი ჩემთვის არ დაურეკია. ასე რომ, ალბათ ყველაფერი ძველებურადააო.



პეტრე დანელია

**ილია ნანობაშვილი**

# ამისულაშვილსა და კიევს შორის როსტოვი ამოსულა



**ალეკო ამისულაშვილის** კიევის დინამოელობა მორჩენაზეა. უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრე ისე გაილია, ქართველი მცველი ერთადერთხელ გამოჩნდა უკრაინული გრანდის ძირითადში. არადა, ერთი ხანობა ამისულაშვილს „დინამოს“ მომავალ სახედ მიიჩნევდნენ, თუმც გუნდის ჯერ ერთმა (ალექსეი მიხაილიჩენკომ) და მერე მეორე მთავარმა მწვრთნელმა, იოზეფ საბომ ამ პერსპექტივასაც ხაზი გადაუსვეს. გუშინდელ პრესკონფერენციაზე საბოს ჰკითხეს, რომელ ფეხბურთელებს უშვებთო და, მწვრთნელმაც ასე უპასუხა — რამდენიმე მათგანი შეიძლება წავიდეს, ოგნიენოვიჩისა და ამისულაშვილის ბედი კი ფაქტობრივად უკვე გადაწყვეტილია.

თუმც, ალეკოს უგუნდოდ დარჩენა ნაღდად არ ემუქრება — დიდი შანსია, ჩვენებურმა მომავალი სეზონი „როსტოვში“ გაატაროს. 3-დან 23 იანვრამდე დონისპირელები საემიროებში მიდიან შეკრებაზე და იქ ამისულაშვილიც მიიწვიეს. სხვათა შორის, „როსტოვს“ ალეკოს გარდა კიდევ ორი კიევის დინამოელის და სამი შახტარელის გადაბირება სურს, თუმც სახელიანი არც ერთი მათგანი არაა.

და კიდევ, თუ ამისულაშვილი „როსტოვში“ გადავა, იქ მას ალბათ რატი ალექსიძეც დახვდება. საქმე ისაა, რომ დონისპირელების გასაყიდ-გასანათხოვრებელ ფეხბურთელთა სიაში ალექსიძე ნახსენები არაა.

**ილია ნანობაშვილი**

# მუსლინი თურმე ჩქარობდა, გოჩა ჯამარაული თურმე ანელებდა



*დონეცკის „მეტალურგი“ გოჩა ჯამარაულისთვის უკვე წარსულია. ბუნებრივია, ბევრს აინტერესებს, რატომ შეელია დონბასელთა სერბი თავკაცი სლავოლიუბ მუსლინი გუნდის კაპიტანს. მუსლინი ბანალურ კომენტარს აკეთებს:*



„ჯამარაული მართლაც კარგი ფეხბურთელია, მან ბევრი მისცა კლუბს და ამაზე არავინ დავობს. არც მისი დიდი საფეხბურთო ინტელექტი მაეჭვებს. ჯამარაულის ერთადერთი და დიდი ნაკლი დაბალი სისწრაფეა. კლუბში მოსვლიდან ერთ-ორ თვეში მივხვდი, რომ იგი თამაშს ანელებდა, მე კი პირველ რიგში სწორედ ტემპიანი გუნდი მჭირდება. თანაც ჯამარაული 34 წლისაა (მუსლინმა ერთი წელი მოუმატა გოჩას)“.

როგორც იცით, ჯამარაული ამჟამად უკლუბოდაა და მუსლინის სიტყვები მისთვის უკვე სულერთია, ამიტომაც გუშინ რომ დავუკავშირდით, კომენტარი არ გაუკეთებია. ბუნებრივია, გოჩას სამომავლო გეგმებზეც ვკითხეთ, მაგრამ ახალი არაფერი უთქვამს — არც ერთი კლუბი არ დამკავშირებია არც უცხოეთიდან და არც საქართველოდან და ისიც არ ვიცი, თამაშს გავაგრძელებ თუ არაო.

**ილია ნანობაშვილი**

# რუსულ კლუბებში საპასპორტო მაგიდები დადგეს

**ზვიად ჯელაძის** საპასპორტო სკანდალმა ისე დააშინა რუსული კლუბები, რომ სეზონის წინ თავადვე ამოწმებენ საეჭვოდ მიჩნეული პასპორტების სიზუსტეს.

შეგახსენებთ, მეორედივიზიონელი „სადოვიკი“ რუსეთის საფეხბურთო კავშირმა გასულ სეზონში უმკაცრესად იმის გამო დასაჯა, ჯელაძის რუსულ პასპორტში დარღვევებიაო. მოგვიანებით იგივე პრობლემები შეუქმნეს ზვიადის ძმას, სარატოვის „სოკოლის“ ნახევარმცველ გიზო ჯელაძესაც.

ეს შესავალი იმიტომ დაგვჭირდა, რომ მეორე დივიზიონში დაქვეითებულ კალინინგრადის „ბალტიკაზე“ გვეთქვა. „ბალტიკას“ თავკაცები ქართველ თავდამსხმელ თემურ გაღელიას რუსულ პასპორტს ამოწმებენ და თუ წუნი ვერ უპოვეს, გუნდშიც დაიტოვებენ.

გაღელია „ბალტიკაში“ წინა სეზონშიც თამაშობდა, მაგრამ მაშინ გუნდი პირველ დივიზიონში იყო და იქ ლეგიონერებს ისედაც აქვთ თამაშის უფლება. მეორე დივიზიონში კი ამგვარი რამ აკრძალულია — ჰოდა, ახლა გაღელიას პასპორტი უფრო აქტუალური გახდა.

**ქახა შალამბერიძე**

## საქართველოს 16 ჩემპიონატი

პირველი ლიგა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

მეორე წრე

### მეთექვსმეტე ტური

6 მარტი, კვირა
ცხინვალი – ამერი
მილანი-მერანი – ივერია
გურია – სპარტაკი
რუსთავი – დინამო 2
კახეთი – ოლიმპი
ვიტ ჯორჯია – ჩიხურა
7 მარტი, ორშაბათი
საგარეჯო – მაღაროელი
ბორჯომი – ლოკომოტივი 2

### მეჩვიდმეტე ტური

12 მარტი, შაბათი
ჩიხურა – რუსთავი
13 მარტი, კვირა
მაღაროელი – ვიტ ჯორჯია
საგარეჯო – კახეთი
დინამო 2 – გურია
სპარტაკი – მილანი-მერანი
ლოკომოტივი 2 – ცხინვალი
ამერი – ოლიმპი
ივერია – ბორჯომი

### მეთვრამეტე ტური

17 მარტი, ხუთშაბათი
ვიტ ჯორჯია – საგარეჯო
გურია – ჩიხურა
კახეთი – ამერი
ოლიმპი – ლოკომოტივი 2
ბორჯომი – სპარტაკი
მილანი-მერანი – დინამო 2
რუსთავი – მაღაროელი
18 მარტი, პარასკევი
ცხინვალი – ივერია

### მეცხრამეტე ტური

21 მარტი, ორშაბათი
ვიტ ჯორჯია – კახეთი
ლოკომოტივი 2 – ამერი
მაღაროელი – გურია
დინამო 2 – ბორჯომი
22 მარტი, სამშაბათი
ჩიხურა – მილანი-მერანი
ივერია – ოლიმპი
საგარეჯო – რუსთავი
სპარტაკი – ცხინვალი

### მეოცე ტური

1 აპრილი, პარასკევი
გურია – საგარეჯო
კახეთი – ლოკომოტივი 2
ამერი – ივერია
ცხინვალი – დინამო 2
ოლიმპი – სპარტაკი
მილანი-მერანი – მაღაროელი
რუსთავი – ვიტ ჯორჯია
2 აპრილი, შაბათი
ბორჯომი – ჩიხურა

### ოცდამეერთე ტური

8 აპრილი, პარასკევი
რუსთავი – კახეთი
ჩიხურა – ცხინვალი
დინამო 2 – ოლიმპი
სპარტაკი – ამერი
ვიტ ჯორჯია – ივერია
მაღაროელი – ბორჯომი
საგარეჯო – მილანი-მერანი
ლოკომოტივი 2 – გურია

### ოცდამეორე ტური

14 აპრილი, ხუთშაბათი
კახეთი – ივერია
ლოკომოტივი 2 – სპარტაკი
ამერი – დინამო 2
ოლიმპი – ჩიხურა
მილანი-მერანი – ვიტ ჯორჯია
გურია – რუსთავი
ცხინვალი – მაღაროელი
15 აპრილი, პარასკევი
ბორჯომი – საგარეჯო

### ოცდამესამე ტური

22 აპრილი, პარასკევი
გურია – კახეთი
რუსთავი – მილანი-მერანი
ვიტ ჯორჯია – ბორჯომი
მაღაროელი – ოლიმპი
დინამო 2 – ლოკომოტივი 2
სპარტაკი – ივერია
23 აპრილი, შაბათი
ჩიხურა – ამერი
საგარეჯო – ცხინვალი

### ოცდამეოთხე ტური

27 აპრილი, ოთხშაბათი
ოლიმპი – საგარეჯო
კახეთი – სპარტაკი
ივერია – დინამო 2
ლოკომოტივი 2 – ჩიხურა
ცხინვალი – ვიტ ჯორჯია
მილანი-მერანი – გურია
28 აპრილი, ხუთშაბათი
ბორჯომი – რუსთავი
ამერი – მაღაროელი

### ოცდამეხუთე ტური

5 მაისი, ხუთშაბათი
ვიტ ჯორჯია – ოლიმპი
მილანი-მერანი – კახეთი
რუსთავი – ცხინვალი
დინამო 2 – სპარტაკი
მაღაროელი – ლოკომოტივი 2
გურია – ბორჯომი
6 მაისი, პარასკევი
ჩიხურა – ივერია
საგარეჯო – ამერი

### ოცდამეექვსე ტური

11 მაისი, ოთხშაბათი
ცხინვალი – გურია
12 მაისი, ხუთშაბათი
ივერია – მაღაროელი
ლოკომოტივი 2 – საგარეჯო
ბორჯომი – მილანი-მერანი
კახეთი – დინამო 2
ამერი – ვიტ ჯორჯია
ოლიმპი – რუსთავი
სპარტაკი – ჩიხურა

### ოცდამეშვიდე ტური

19 მაისი, ხუთშაბათი
ჩიხურა – დინამო 2
ბორჯომი – კახეთი
მილანი-მერანი – ცხინვალი
გურია – ოლიმპი
რუსთავი – ამერი
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი 2
მაღაროელი – სპარტაკი
20 მაისი, პარასკევი
საგარეჯო – ივერია

### ოცდამერვე ტური

24 მაისი, სამშაბათი
კახეთი – ჩიხურა
ივერია – ვიტ ჯორჯია
ოლიმპი – მილანი-მერანი
დინამო 2 – მაღაროელი
სპარტაკი – საგარეჯო
ლოკომოტივი 2 – რუსთავი
ამერი – გურია
ცხინვალი – ბორჯომი

### ოცდამეცხრე ტური

31 მაისი, სამშაბათი
ცხინვალი – კახეთი
რუსთავი – ივერია
ბორჯომი – ოლიმპი
მილანი-მერანი – ამერი
ვიტ ჯორჯია – სპარტაკი
მაღაროელი – ჩიხურა
გურია – ლოკომოტივი 2
საგარეჯო – დინამო 2

### ოცდამეათე ტური

6 ივნისი, ორშაბათი
კახეთი – მაღაროელი
სპარტაკი – რუსთავი
ამერი – ბორჯომი
ოლიმპი – ცხინვალი
ივერია – გურია
ლოკომოტივი 2 – მილანი-მერანი
დინამო 2 – ვიტ ჯორჯია
ჩიხურა – საგარეჯო

**სარეზერვო დღეებია: 14, 21 თებერვალი, 8 მარტი, 13 აპრილი, 11 მაისი**

# დუდეკი წახდა



ირჟი დუდეკმა ბურთი ლომანა ლუა ლუას მიართვა

## ინგლისი

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩი**

**ლივერპული 1:1 პორტსმუთი**

1:0 ჯერარდი (70), 1:1 ლუა ლუა (90)

**ლივერპული:** დუდეკი, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, ჯ. ტრაორე, ხაბი ალონსო, ჯერარდი, ჰამანი, კიუელი, ა. ნუნიესი (ხოსემი 89), ბაროში (სინამა-პონიოლი 82)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

**პორტსმუთი:** ეშდოუნი, დე ზეუვი, გრიფინი, პრიმუსი, სტეფანოვიჩი, ბერგერი, ფეიე (ბერკოვიჩი 45), გ. ონილი, სტოუნი, ფულერი (მეთიუ ტეილორი 61), ლუა ლუა

მწვრთნელი:ველიმირ ზაეჩი

მსაჯი: კლატენბურგი

35 064 მაყურებელი

პრემიერლიგის მე-17 ტური სამშაბათს ღამით დასრულდა „ენფილდზე", სადაც „ლივერპული" სტივენ ჯერარდის გოლით უგებდა „პორტსმუთს", მაგრამ დამატებულ დროში გაუშვა დასანანი გოლი, რომელიც მეკარე ირჟი დუდეკის კისერზეა.

ჯერარდმა 70-ე წუთზე გახსნა ანგარიში და ისე ჩანდა, რომ მასპინძლები შედეგს შეინარჩუნებდნენ, თუმცა მაშინ, როცა თამაშის დასრულებამდე წამები რჩებოდა, დუდეკმა საშინლად მიიღო მეთიუ ტეილორის ჩაწოდებული და იქვე მყოფმა ლომანა ლუა ლუამ ანგარიში გაათანაბრა, რითაც კიდევ უფრო მყარად ჩატოვა „ლივერპული" მე-6 ადგილზე. დუდეკი სულ უფრო იშვიათად ხვდება ძირითად შემადგენლობაში, თუმცა მენეჯერმა რაფა ბენიტესმა ის მაინც დაიცვა: „დუდეკის ბრალი არ იყო. იღბალმა უმტყუნა. ის ჩაწოდებას ელოდა, ტეილორს კი დარტყმასავით გამოუვიდა".

ბოლო ორ თამაშში „ლივერპულმა" მხოლოდ ქულა აიღო და ახლა „ნიუკასლთან" ელის თამაში. კვლავაც უმენეჯერო „პორტსმუთი" კი ნელ-ნელა წამოიქაჩა დირექტორ ველიმირ ზაიეჩისა და თანაშემწე მწვრთნელ ჯო ჯორდანის ხელში.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 17 | 12 | 4 | 1 | 33:8 | 40 |
| ევერტონი | 17 | 11 | 3 | 3 | 21:14 | 36 |
| არსენალი | 17 | 10 | 5 | 2 | 44:22 | 35 |
| მანჩესტერი | 17 | 8 | 7 | 2 | 23:11 | 31 |
| მიდლსბრო | 17 | 8 | 5 | 4 | 29:22 | 29 |
| ლივერპული | 17 | 7 | 4 | 6 | 25:19 | 25 |
| ასტონ ვილა | 17 | 6 | 7 | 4 | 22:19 | 25 |
| ჩარლტონი | 17 | 7 | 3 | 7 | 19:27 | 24 |
| ბოლტონი | 17 | 6 | 5 | 6 | 26:25 | 23 |
| პორტსმუთი | 17 | 6 | 5 | 6 | 23:24 | 23 |
| ტოტენჰემი | 17 | 6 | 4 | 7 | 16:17 | 22 |
| ნიუკასლი | 17 | 5 | 6 | 6 | 28:32 | 21 |
| სიტი | 17 | 5 | 5 | 7 | 21:18 | 20 |
| ფულემი | 17 | 5 | 3 | 9 | 19:28 | 18 |
| ბირმინგემი | 17 | 3 | 8 | 6 | 14:19 | 17 |
| ნორვიჩი | 17 | 2 | 9 | 6 | 17:28 | 15 |
| კრ. პალასი | 17 | 3 | 5 | 9 | 17:24 | 14 |
| ბლექბერნი | 17 | 2 | 8 | 7 | 16:30 | 14 |
| საუთჰემპტონი | 17 | 2 | 7 | 8 | 17:26 | 13 |
| ვესტ ბრომვიჩი | 17 | 1 | 7 | 9 | 15:32 | 10 |



# სევიჯის მორიგი ვერაგობა

## ველურმა ბირმინგემელმა მელბერგს თვალი გამოთხარა

**„ბირმინგემის"** მთავარი ჩხუბისთავი რობი სევიჯი ახალ შარშია გახვეული მისი ოხერი ხასიათის გამო. კვირას, როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ „ასტონ ვილა" და „ბირმინგემი", სხვანაირად კი ეს იყო ბრამ-დერბი, ისეთივე ბობოქარი, როგორც ყოველთვის.

„ბირმინგემმა" „ვილა პარკზე" მოიგო, მაგრამ ერთ-ერთი მორიგი ჩხუბ-ძიძგილაობის დროს, სევიჯმა „ვილას" მცველ ოლაფ მელბერგს თვალის გამოთხრა დაუპირა. ეს ტელეკამერებმა დააფიქსირეს, შეხვედრის მსაჯ სტივ დანს კი გამორჩა. ახლო წარსულის განთქმულმა მსაჯმა ჯეფ ვინტერმა ასე განმარტა ეს ამბავი: „ვერაგი საქციელი იყო. სევიჯმა მიპარვით ატაკა თითო თვალში მელბერგს. სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ერგება".

რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, ფეხბურთის ასოციაციამ ევებ არც განიხილოს ეს საკითხი.

ისე კი, სევიჯი რომ გადმოვთარგმნოთ, ველურსა და უხეშს ნიშნავს.

**ირაკლი გამყრელიძე**





# სანამ უცემიათ, დავასვენოთ

## ფერგიუსონი რონალდოს შვებულებაში უშვებს

**„მანჩესტერ იუნაიტედის"** მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი პორტუგალიელ ჭაბუკ ვარსკვლავს, კრისტიანო რონალდოს საშობაოდ ალბათ ხანგრძლივ არდადეგებს აჩუქებს. მიზეზი: ფერგიუსონი ხვდება, რომ ყმაწვილი დატვირთვებს და პროფესიული ფეხბურთის დაძაბულობას ველარ უძლებს.

გავიხსენოთ: გასულ ზაფხულს, ინგლისის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ რონალდომ ევრო 2004-ზე ითამაშა, შემდეგ ათენში, ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა, ხოლო ოლიმპიადის დამთავრებისთანავე ინგლისის ახალ ჩემპიონატზე გადაერთო და კვლავ „მანჩესტერ იუნაიტედის" განუყოფელ ნაწილად იქცა. ასე განსაჯეთ, კრისტიანო რონალდო ამასწინათ, გუნდის მეორე შემადგენლობასაც კი გაჰყვა სტამბოლში, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში „ფენერბაჰჩეს" წინაალმდეგ „იუნაიტედისთვის" სრულიად უსარგებლო მატჩში სათამაშოდ.

ახლა, სავარაუდოდ, პორტუგალიელი ჭაბუკი „კრისტალ პალასთან" არ ითამაშებს და არც საახალწლო შეხვედრებში გავა მოედანზე.

შეგახსენებთ, რომ „საუთჰემპტონთან" შეხვედრაში რონალდომ ისეთი გოლი ვერ გაიტანა, რომ გარი ნევილმა თავი ვერ შეიკავა და საჯაროდ უსაყვედურა თანაგუნდელს, ხოლო ერთი ხნის შემდეგ, „ფულემთან" მატჩის დროს მან უმარტივეს სიტუაციაში პასი არ მიაწოდა ალან სმიტს, თავად დაარტყა და ვერ გაიტანა.

ხოლო მეორე თემა, რაც „მანჩესტერ იუნაიტედთან" დაკავშირებით გვინდოდა გამოგვეყო, ალექს ფერგიუსონის იმედია — შოტლანდიელი ფიქრობს, რომ „ჩელსი", შესაძლოა, ინგლისის ჩემპიონი იმიტომ ვერ გახდეს, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლის გამოცდილება არ აქვს.

„ახლა ყველაფერი თავად ლონდონელებზეა დამოკიდებული — თქვა ფერგიუსონმა — მათ ძლიერი გუნდი ჰყავთ, მაგრამ სავარაუდოდ, კრიზისული პერიოდიც უნდა დაუდგეთ და მე იმედი მაქვს, რომ ეს პერიოდი გაუჭიანურდებათ. არავინ იცის, როგორ რეაგირებენ ასეთ დროს გუნდები".

**პაპუნა ძედია**

# სული და გული ოცდახუთ მილიონად

## კევინ კიგანს თვეები დაუთვალეს

**„მანჩესტერ სიტი"** უკვე ეძებს კევინ კიგანის შემცვლელს, რომლის კონტრაქტი წელიწადნახევრის შემდეგ იწურება. „კიგანს კიდევ 18 თვე დარჩა, მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ უქმად ჯდომას ამ ხნის განმავლობაში. ახალ მწვრთნელზე აქედანვე უნდა ვიფიქროთ" — განაცხადა კლუბის თავმჯდომარე ჯონ უორდლმა.

კევინ კიგანმა ოთხი წლის მანძილზე ტრანსფერებში 50 მილიონი გირვანქა დახარჯა, მაგრამ „მანჩესტერ სიტი" პრემიერლიგის ლიდერებში მაინც ვერ გაერია. კლუბს 62 მილიონი გირვანქა ვალი და მრავლად ტრავმირებული ფეხბურთელი დაუგროვდა, რომლებიც გუნდს ვერ ეხმარებიან — სუნ ჟიხაი, სტივ მაკმანამანი, ბენ ტეტჩერი, კლაუდიო რეინა და ტრევორ სინკლერი.

„მანჩესტერ სიტის" მწვრთნელს ახალი ფეხბურთელების შეძენა კვლავაც სურს, მაგრამ საამისოდ ფული არა აქვს. ჯონ უორდლმა თქვა, ნიკოლა ანელკა ევებ გავყიდოთ, მაგრამ შონ რაიტ-ფილიპსს კი ძნელად შევეელევით. „რაიტ-ფილიპსი გუნდის სული და გულია, სხვა კლუბებისთვის მისი დათმობა მეძნელება, რადგან ჩვენს აკადემიაში გაიზარდა, თუმც ვინმემ მსუყე თანხა რომ შემოგვთავაზოს, ევებ დავთმო კიდეც. რაიტ-ფილიპსი რუნიზე არანაკლები ფეხბურთელია" — თქვა კლუბის პრეზიდენტმა. გუშინ კი BBC-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მანჩესტერელებმა შონ რაიტ-ფილიპსი 25 მილიონ გირვანქად შეაფასეს. შედარებისთვის: უეინ რუნი „ევერტონმა" „მანჩესტერ იუნაიტედს" 27 მილიონად მიჰყიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**





შონ რაიტ-ფილიპსი და კევინ კიგანი



პიეტრო კარმინიანი

# შენ თუ გვიშველი, გედეონე!

## პარმას ახალი ძველი კარმინიანია

„პარმამ“ ახალი მწვრთნელის ვინაობა დაასახელა — სილვიო ბალდინის პიეტრო კარმინიანი შეცვლის. ბალდინი, შეგახსენებთ, ორშაბათს გაათავისუფლეს თანამდებობიდან. კლუბის ოფიციალურ განცხადებაში წერია:

„მმართველობის სადავეებს კარმინიანს გადავცემთ. ის თანაშემწედ დანიელე ძორატოს მოიყვანს“.

59 წლის კარმინიანის ამოცანა „ჯალობლუს“ ანუ „ყვითელ-ლურჯების“ (ქართულად შესაძლოა ლურჯ-ყვითლების თქმა სჯობდეს) სახიფათო ზონიდან გამოყვანა გახლავთ. იგი წლობით გახლდათ პარმელთა ახლანდელი დირექტორის, იტალიის ნაკრების ყოფილი თავკაცის, არიგო საკის თანაშემწე იმავე „პარმასა“ თუ „სკუადრა აძურაში“, მადრიდის „ატლეტიკოსა“ თუ „მილანში“.

მიუხედავად იმისა, რომ ასისტენტობის დიდი სკოლა აქვს გავლილი, კარმინიანისთვის ეს დანიშვნა მთავარი მწვრთნელის რანგში პირველი არ გახლავთ. 1999 წელს იგი სათავეში ედგა სერია C1-ის კლუბ „ლივორნოს“, ხოლო 2002 წელს, როდესაც „პარმას“ მწვრთნელის თანამდებობიდან დანიელ პასარელა გადადგა, პოსტი სწორედ კარმინიანიმ ჩაიბარა და ერთი, რომ გუნდი გავარდნას გადაარჩინა, იტალიის თასიც კი მოაგებინა.

პიეტრო კარმინიანის მეტსახელად გედეონეს უწოდებენ. ფეხბურთელობისას თამაშობდა „ვარეზეში“, „იუვენტუსში“ (რომლის შემადგენლობაშიც 1972 წელს სკუდეტო მოიგო), „ნაპოლისა“ და „ფიორენტინაში“. მისი დებიუტი „პარმას“ მწვრთნელის რანგში „სტადიო ტარდინიზე“, უეფას თასის შეხვედრაში თურქული „ბეშიქთაშის“ წინააღმდეგ გაიმართება. თუ პარმელები ამ შეხვედრას ვერ მოიგებენ, შეჯიბრებიდან გავარდებიან.

**პაპუნა ძედია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაბრუნდი, ვინჩენცო!

## წაიყვანეთ ბაცანი და მოგვეცით მონტელა

გენუის „სამპდორია“ ადასტურებს, რომ „რომადან“ თავისი ყოფილი თავდამსხმელის, ვინჩენცო მონტელას დაბრუნებას ფიქრობს.

„ჩვენ ვსწავლობთ ვითარებას, რადგან ვიცით, რომ მონტელას „რომასთან“ კონტრაქტი 2006 წლამდე აქვს“ — განაცხადა გენუელთა გენერალურმა დირექტორმა ჯუზეპე მაროტამ.

მონტელა, ალბათ გახსოვთ, „სამპდორიაში“ გატარებული სამი სრულიად ფანტასტიკური სეზონის შემდეგ ამ გუნდის ქომაგთა შორის ლამის ლეგენდად შერაცხა. მან 83 მატჩში 54 გოლი გაიტანა, მაგრამ 1999 წელს გენუიდან წავიდა, ვინაიდან ყველასთვის მოულოდნელად „სამპდორია“ სერია B-ში გავარდა, ახლა კი, როგორც ამბობენ, ის შეიძლება დაბრუნდეს.

დირექტორმა მაროტამ განაცხადა: „ვფიქრობთ, „რომა“ დაინტერესდება ისეთი დიდებული თავდამსხმელით, როგორიცაა ფაბიო ბაცანი. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში ჩვენ ფეხბურთელების შესაძლო გაცვლაზე ვიმსჯელოთ.“

ამასობაში, დაირხა ხმა, რომ იანვარში რომიდან იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრი გაეტანო დაგოსტინი წავა.

„გასული წლის იანვარში „ფიორენტინაში“ გადასვლაზე ვთქვი უარი, რადგან აქ, „რომაში“ მინდოდა დამკვიდრება, თუმცა, როგორც ჩანს, დრო მოვიდა სხვაგან ვცადო ბედი. რამდენიმე მნიშვნელოვან კლუბს სურს ჩემი შეძენა. მინდა აგრეთვე ხაზი გავუსვა, რომ „რომადან“ ხელფასის გამო არ მივდივარ, თორემ შარშანვე წავიდოდი ფლორენციაში“ — თქვა ნახევარმცველმა.

**პაპუნა ძედია**

# ბუფონი შვიდ ქულას შეგვიავსებს

*„იუვენტუსისა“ და იტალიის ნაკრების მეკარეს, ჯანლუიჯი ბუფონს სწამს, რომ თუ ამ შაბათს მისი გუნდი „სტადიო დელ ალპიზე“ „მილანს“ დაამარცხებს, სკუდეტოსკენ ძალიან დიდ ნაბიჯს გადადგამს*



„შაბათს, გამარჯვების შემთხვევაში, ძალიან ბევრი რამ შეიცვლება — თქვა ბუფონმა — მდევრის შვიდი ქულით ჩამოტოვება დიდი ფსიქოლოგიური წახალისება და უპირატესობა იქნებოდა ჩვენთვის. ჩვენს ასეთ უპირატესობას თავად „მილანიც“ ძალიან იგრძნობდა, მაგრამ თუ დავმარცხდებით, ეჭვი არ მეპარება, რომ გადავიტანთ და არ გავტყდებით. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ახლა საშობაო არდადეგები იწყება და ამ არდადეგების დროს ბატარეების გადატვირთვას მოვასწრებთ“.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ტურში „მილანმა“ „ფიორენტინას“ 6:0 მოუგო და საყოველთაო აზრით, ამ მოგებამ უპირველეს ყოვლისა, „დელე ალპიზე“ გასვლის წინ შეუქმნა საბრძოლო განწყობა.

„დიახ, „მილანი“ ამწუთას ძალიან ჯანმრთელად ჩანს და თითქოს ჩვენზე ნაკლები პრობლემებიც აქვს, მაგრამ შაბათის მატჩი მაინც ძალიან დაბალანსებული იქნება და იგი ფავორიტმა შეიძლება სულაც ვერ მოიგოს. თუ გნებავთ, ორი წლის წინანდელი გაიხსენეთ, როდესაც ჩემპიონთა ლიგის ფინალში შევხვდით ერთმანეთს, ფავორიტებად ჩვენ ვითვლებოდით, მაგრამ წავაგეთ“.

ბოლოს კი ბუფონს ყველაზე სახიფათო მეტოქეზე, ანდრეი შევჩენკოზე და „მილანის“ ბრაზილიელ მეკარეზე, დიდაზე ჰკითხეს. მან მიუგო:

„იმედი მაქვს, „ოქროს ბურთის“ მოგების შემდეგ შევჩენკო ცოტა დაწყნარებული იქნება, ხოლო დიდა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა, რომელიც თავისი თანმიმდევრულობით მოიცებს“.

ცნობების თანახმად, „დელე ალპიზე“ ყველა ბილეთი სამშაბათსვე გაყიდული იყო.

**პაპუნა ძედია**

# რამდენს გადაიხდით?

## მილანმა ატლეტიკოს რუი კოშტა შესთავაზა

**გავრცელებულ** ხმათა თანახმად, იტალიის ჩემპიონი „მილანი“ მადრიდის „ატლეტიკოს“ თავის პორტუგალიელ ფეხბურთელს, რუი კოშტას სთავაზობს. ეს ამბავი ესპანურ AS-ში ეწერა. გაზეთის ცნობით, გარიგება იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გაღებისას შედგება.



გასაკვირი, კაცმა რომ თქვას, არაფერია, რადგან პორტუგალიელი ვამთამაშებელი „შავ-წითელთა“ სათადარიგოთა სკამზე ჯდომით უკმაყოფილოა და სურს წავიდეს იქ, სადაც ათამაშებენ. მას მერე, რაც „მილანში“ კაკა გამოჩნდა ანუ აგერ უკვე 18 თვეა, რუი კოშტა ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი აღარ არის, ამბობენ, რომ „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა, ადრიანო გალიანიმ მადრიდელებს უკვე ჰკითხა, რას გადაიხდიან რუი კოშტას სანაცვლოდ და სხვა წვრილმანებიც დააზუსტა.

ზოგადად, ამ ორ კლუბს ჩინებული ურთიერთობები აქვთ. მათ შორის განხორციელებულია გარიგებები ხოსე მარის, ხავი მორენოს, კოზმინ კონტრას და ფაბიო კოლოჩინის თაობაზე, თუმცა კონკრეტულად. რუი კოშტას საკითხზე გადაწყვეტით ჯერ მაინც ვერავინ ვერაფერს ამბობს. შეგახსენებთ, რომ საკუთრივ ფეხბურთელს ბევრჯერ უთქვამს, რომ კარიერის დასრულებას მშობლიურ ლისაბონში, „ბენფიკაში“ აპირებს.

თავის დროზე „ფიორენტინაში“ ნათამაშევი რუი კოშტა ახლა 32 წლისაა და „მილანთან“ კონტრაქტით 2006 წლამდეა შეკრული.

**პაპუნა ძედია**

# ვისი კარი გაიღება ტოლდოსთვის?



**„ინტერის“** მეკარეზე, ფრანჩესკო ტოლდოზე დაჟინებით ალაპარაკდნენ, რომ შესაძლოა, ინგლისში გადავიდეს სათამაშოდ. ტოლდოს, რომელიც მიმდინარე სეზონში საუკეთესო ფორმაში არ არის, ყველაზე მეტად „მანჩესტერ იუნაიტედთან“ და „არსენალთან“ აკავშირებენ.

„მანჩესტერ იუნაიტედს“, მოგეხსენებათ, გამოკვეთილად მთავარი მეკარე არ ჰყავს, ხოლო „არსენალის“ მწვრთნელ არსენ ვენგერს გერმანელი მეკარის, იენს ლემანის ნაცვლად ბოლო დროს კარში მანუელ ალმუნია უდგას.

33 წლის ტოლდოს ყველაფერთან ერთად, მოგეხსენებათ, „ინტერში“ პრობლემებიც შეექმნა, შედარებით ცუდად თამაში ერთია და მწვრთნელთან, რობერტო მანჩინისთანაც არ უნდა ჰქონდეს მთლად კარგი ურთიერთობა. ერთი ხნის წინ მწვრთნელმა სათადარიგოთა სკამზეც კი დასვა.

მეორე მხრივ, არ არის გამორიცხული, ტოლდო თავის ოდინდელ გუნდში, „ფიორენტინაში“ დაბრუნდეს, საიდანაც 10 ერთგული სეზონის შემდეგ, 2001 წელს „ინტერში“ წავიდა.

**პაპუნა ძედია**

# მე თომასი მქვია

## ვერდერის პრეზიდენტს შააფის დანახვაზე აჟრიალებს

*დარწმუნებული ვარ, უამრავი ადამიანი „ვერდერს" ჩემპიონთა ლიგის აუტსაიდერად თვლის. მათი მესმის, ბოლო წლებში, მიუნხენის „ბაიერნის" გარდა, გერმანული კლუბები ევროპულ სარბიელზე სულაც არ ბრწყინავდნენ. მაგრამ გარწმუნებთ, ჩვენ ამას გამოვასწორებთ — ეს სიტყვები ბრემენელთა მესაჭეს თომას შააფს ეკუთვნის, რამდენიმე თვის წინ არის ნათქვამი და ჩანს, მწვრთნელი ამ მუქარის ასრულებას სერიოზულად შესდგომია. „ვალენსიას" მისსავე მოედანზე დამარცხების მერე „ვერდერი" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გავიდა*




**თომას შააფი** ბრემენელი „მუსიკოსების" მთავარი დირიჟორია. მისმა დაკრულმა გაზაფხულზე მთელი გერმანია აალაპარაკა — ბუნდესჩემპიონი გახდა, ახლა კი მთელ ევროპასაც შეუტია.

შააფმა ხალხს ის დროებაც გაახსენა, როცა 14 სეზონის განმავლობაში „ვერდერს" ოტო რეჰაგელი წვრთნიდა, შააფი გუნდში მარჯვენა მცველად თამაშობდა და გერმანიის ჩემპიონი, ორჯერ თასის მფლობელი გახდა და ევროპის თასების მფლომებთა თასიც მოიგო. შააფმა ბუნდესლიგაში 262 მატჩი ჩაატარა და 262-ივე „ვერდერის" შემადგენლობაში.

შააფი ჯერ კიდევ მოქმედი ფეხბურთელი იყო, ჭაბუკებთან რომ დაიწყო მუშაობა, ხოლო როცა ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა, „ვერდერის" მოყვარულთა გუნდის მწვრთნელი გახდა. 1999 წელს კი დიდი „ვერდერის" მწვრთნელად დანიშნეს. ამ პოსტზე მან ფელიქს მაგათი შეცვალა.

„ვერდერის" პრეზიდენტმა იურგენ ბორნმა „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში აღიარა: „ყოველთვის, როცა შააფი მეუბნება, რაღაც მაქვს სათქმელიო, მაჟრიალებს. სულ იმის მოლოდინი მაქვს, რომ კლუბიდან წასვლაზე ჩამომიგდეს სიტყვას. ვიცი, რომ მას უამრავი შეთავაზება აქვს". მაგრამ ბოსის შეშფოთება ჯერჯერობით უსაფუძვლოა, თომას შააფი „ვერდერში" თავს აბსოლუტურად კომფორტულად გრძნობს, თუმც იმაზე ფიქრი, რომ მუდმივად ასე გაგრძელდება, გულუბრყვილობაა.

ბორნმა ისიც თქვა, შააფს გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვსო. ხუთი წლის წინ კი, როცა შააფი „ვერდერის" მწვრთნელად დანიშნა, ასე ბევრი როდი თვლიდა.

„სულ არ ვბრაზდები — იხსენებს მაშინდელ კრიტიკას შააფი — წვრილმანებზე გაბრაზება დროის ტყუილად კარგვაა. მე ყოველთვის ვცდილობდი და ვცდილობ, ყველაფრისგან სიამოვნება მივიღო. ეს მხოლოდ ფეხბურთს არ ეხება. ოჯახთან ურთიერთობა, მეგობრებთან ყოფნა, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ყურება, კარგი სადილი — ყველაფერი მსიამოვნებს".

სამწვრთნელო პრინციპები შააფმა თავადვე ჩამოაყალიბა, ოტო რეჰაგელსაც კი არ დასესხებია. სხვათა შორის, თავის პირველ ვარჯიშზე ბრემენელ ჭაბუკთა გუნდთან, მან ფეხბურთელებს უთხრა: „მე თომასი მქვია. შეგიძლიათ, ასევე მომმართოთ".

„ის თვისებები, რაც შააფს ფეხბურთელობისას გამოარჩევდა, მწვრთნელი-შააფის გამოსარჩევ თვისებებად იქცა — თვლის „ბილდის" მიმომხილველი მათიას ზონენბერგი — ის თავისი პროფესიის ერთგულია, არასდროს ნებდება და მუდამ წინ მიიწევს. ახალგაზრდობაში, როცა ფეხბურთს ვთამაშობდი და მის გუნდში ვიყავი, ერთხელაც [illegible] ფილა, ფეხბურთელისთვის [illegible]. მან მშვენივრად იცის [illegible] ურთიერთობა".

ზონენბერგი ასეთ ამბავსაც იხსენებს: „ერთხელ სკოლაში, საკონტროლო წერისას SCHAF-ის (ცხვარი) ნაცვლად SCHAAF დავწერე. მასწავლებელი „ვერდერის" თავგადაკლული ფანი იყო და ნიშანი არ დამაკლო. უბრალოდ მთხოვა, ფეხბურთის გარდა სხვა რამეებზეც მეფიქრა".

თომას შააფისთვის გუნდი ოჯახია. ძალიან ძნელია ერთი მიმართულებით ატარო განსხვავებული ხასიათისა და ხელფასის ფეხბურთელები, შააფი კი ამას ახერხებს. ორი წლის წინ, როცა აილტონის ძმა ავტოკატასტროფაში დაიღუპა, შააფმა ფეხბურთელს უთხრა: „წადი სამშობლოში და მაშინ დაბრუნდი, როცა საჭიროდ ჩათვლი". საუკეთესო ბომბარდირის გაშვებამ გუნდის შედეგებზეც იმოქმედა და „ვერდერმა" იმ სეზონში ჩემპიონობა ხელიდან გაუშვა. მომდევნო სეზონში კი აილტონის გოლები გადამწყვეტი აღმოჩნდა ბრემენელთა გაჩემპიონებაში.

შააფი თავის ფეხბურთელებს მეტსახელებით მიმართავს. აილტონი მისთვის ტონია, მიკუს ჯოს [illegible]ხის, კრისტაიჩს — კრისს, ფრინგსს კი საწოვარას. ის კი ფეხბურთელებისთვის, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, უბრალოდ თომასია.

ყოველი სეზონის ბოლოს მთელი გუნდი ლუდხანა „თამაშგარეში" იკრიბება და მეპატრონის ხარჯზე ილხენს. ლუდხანის მეპატრონე თომას შააფია. ქორწილში კი შააფმა „ვერდერის" ჭაბუკთა ფეხბურთელებიც დაპატიჟა.

მეუღლე მან სკოლაში გაიცნო და მას მერე სამნი არიან: თომასი, ასტრიდი და ფეხბურთი. „პატარა გოგო ვიყავი, „ვერდერის" თამაშებზე რომ დავდიოდი — იხსენებს ფრაუ ასტრიდი — ახლა, „ვერდერი" სტუმრად რომ თამაშობს, გუნდს სხვა ქალაქებშიც დავყვები".

და კიდევ: წლინახევრის წინ მისი ძმა პეტერი ინფარქტით გარდაიცვალა. მას მერე თომას შააფი აღარ ეწევა.

**ირაკლი ნინიძე**

და ერთიც: გუნდურ ფოტოებზე შააფი ყოველთვის განაპირას დგას



# რა გაგახსენდა, ოლი?

## კანს იოკოჰამაში ბრაზილია მოელანდა

*გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა, იურგენ კლინსმანმა იაპონელები გააფრთხილა, მართალია, ჩვენს შორის თამაში ამხანაგური იქნება, მაგრამ საშობაო განწყობას ნუ ელითო. ეს მატჩი იოკოჰამაში დღეს გაიმართება*

„ჩვენ ძალიან სერიოზულად ვართ განწყობილნი და იაპონიის ნაკრებთან შეხვედრას წინასაშობაო განწყობილების შესაქმნელ მატჩად ნამდვილად არ განვიხილავთ — დაიქადნა 40 წლის ყოფილმა ფორვარდმა, რომელიც, რაც გერმანიის ნაკრებს უდგას სათავეში, საკმაოდ უხეშ ადამიანად წარმოაჩენს თავს — ჩვენს გუნდში გამოუცდელი ფეხბურთელებიც არიან და გამოცდილებიც. ამიტომაც ველი, რომ ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად დიდი ბრძოლა გაიმართება".

კლინსმანის გუნდი, რომელსაც ტრავმათა გამო ბევრი ფეხბურთელი აკლია, აზიური ტურნეს განმავლობაში კორეისა და ტაილანდის ნაკრებებსაც შეხვდება. ცნობისთვის: რაც რუდი ფიოლერი გადადგა და მისი პოსტი კლინსმანმა დაიკავა, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ნაკრებმა სამი შეხვედრა მოიგო, ხოლო ერთი ფრედ ითამაშა.

დღევანდელი მატჩი ერთგვარი გამოცდა იქნება გამოცდილი, მაგრამ ბოლო ხანს დაუძლურებული მეკარე ოლივერ კანისთვის.

„აქ დაბრუნება სასარგებლოა, ის დაგვეხმარება იმის დავიწყებაში, რაც იოკოჰამას სტადიონზე 2002 წლის ზაფხულში მოხდა — თქვა მაშინდელმა დამარცხებულმა ფინალისტმა — სხვათა შორის, ძალიან მინდოდა დადებითი მოგონებებით და ემოციებით მევლო, მაგრამ როგორც კი სარბიელზე ფეხი შევდგი, ბრაზილიასთან ის მარცხი გამახსენდა და ახლაც გულის დაწყვეტა ვიგრძენი".

აღსანიშნავია, რომ გერმანიის ნაკრებს აზიურ ტურნეში არ წაჰყვა კანის მოქიშპე კოლეგა იენს ლემანი, ამასთან დაკავშირებით კანმა ბრძანა:

„გერმანულ ტაბლოიდებს რომ ვკითხულობ, მრჩება შთაბეჭდილება, თითქოს ეს ყველაფერი მოწყობილი კამპანიაა. ამის მიუხედავად, ადამიანებმა ერთმანეთს პატივი უნდა სცენ".

**პაპუნა ქედია**






# მეგობრებთან ერთად ღარიბებისთვის

*რონალდოსა და ზინედინ ზიდანის მეგობრებმა გუშინწინ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ბურთი რისთვისაც გააგორეს, ცნობილია — შეხვედრის მთელი შემოსავალი გაეროს სილატაკესთან ბრძოლის ფონდში გადაირიცხა. ამ მეგობრულ მატჩში მოედანზე ისეთი ბიჭები გავიდნენ, თავის დროზე დიდი ფეხბურთი რომ უთამაშიათ, მწვრთნელები კი აქეთ-იქით სამ-სამი იყვნენ. რონალდოს გუნდს მარიო ზაგალო, კარლოს ალბერტო პარეირა და ლუიშ ფელიპე სკოლარი თავკაცობდნენ, ზიდანისას — მარჩელო ლიპი, დიდიე დეშანი და ლუის ფერნანდესი. სამ-სამ მწვრთნელიანი გუნდების ძმური ფეხბურთი 4:4 დასრულდა.*

*ნამატჩევს ქველმოქმედებმა მედიას თითოოროლა სიტყვა დაუტოვეს და ჩვენც მათ ნაუბარს გთავაზობთ.*



ფეხბურთელთა ამქარში ცნობილი ავტომრბოლი მიხაელ შუმახერიც გაერია

**ზინედინ ზიდანი:** ფრით ყველა კმაყოფილია. მადლობის მეტი რა მეთქმის. მადლიერი ვარ იმ ხალხის, რომლებმაც სტადიონზე მოსვლა არ დაიზარეს. ლამაზი ფეხბურთი გამოგვივიდა და გულშემატკივრებმაც ისიამოვნეს. ძალიან გამიხარდა, რომ ძველ მეგობრებთან ერთად ვითამაშე. სწორედ ისინი დაგვეხმარნენ ამ მატჩის ორგანიზებაში. ასეთი შეხვედრა მომავალ წელსაც უნდა გავმართოთ.

**დევიდ ბექემი:** მოედანზე მყოფი ყველა ფეხბურთელი ჩემი მეგობარი იყო, ამ მატჩი განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა. შესანიშნავია, რომ უამრავმა მოთამაშემ ისურვა ასეთ შეხვედრაში მონაწილეობა.

**ემილიო ბუტრაგენიო:** ბოლოს მოედანზე ფეხბურთიდან უგო სანჩესის გასაცილებელ მატჩზე გაველი, რამდენიმე თვით ადრე კი მე გამაცილეს. საქველმოქმედო შეხვედრის წინა დღეს პრესკონფერენციაზე რონალდო მოვიდა და თამაში მთხოვა. მეორე დღეს, ანუ მატჩის წინ თხოვნა კვლავ გამიმეორა. ძალიან მიხარია, რომ ვითამაშე. ამ სტადიონზე ბურთაობა ფრიად სასიამოვნოა. სამწუხაროდ, მალე შემცვალეს, რადგან ალბათ მწვრთნელმა დამიწუნა. მადლობას ვუხდი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მოსულ ყველა გულშემატკივარს.

**დავორ შუკერი:** „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დაბრუნება და თან ასეთი კარგი საქმისთვის — სასიხარულოა. მსოფლიოში ბევრ ადამიანს ლუკმა პური ენატრება და ძალიან კარგია, მათ ოდნავ მაინც თუ დავეხმარე. ვფიქრობ, რომ ქომაგმა ისიამოვნა და მეც მესიამოვნა, რომ მადრიდელები სიყვარულით შემხვდნენ.

**პრედრაგ მიატოვიჩი:** „დასანანია, რომ გოლი ვერ გავიტანე, მაგრამ მთავარია ხალხი, რომლებმაც სტადიონი შეავსეს. მათ ლამაზი ფეხბურთის ნახვა სურდათ და კიდეც იხილეს. მადლობა გულშემატკივრებს.

**დიდიე დეშანი:** შესანიშნავი დღე იყო. ფეხბურთელებმა მსოფლიოს მაგალითი უჩვენეს, ადამიანებმა ერთმანეთის დახმარება არ უნდა დაიზარონ — ეს ხომ ჩვენი მოვალეობაა. „ზიზუმ“ არ დამივიწყა, მე კი მოედანზე მისი ხილვა ყოველთვის მახარებს.

**ფერნანდო რედონდო:** „სანტიაგო ბერნაბეუზე“ თამაში სიამოვნებაა, მით უმეტეს, როცა გულშემატკივრებით სავსე სტადიონს ხედავ. გულწრფელად გეტყვით, ყოფილ თანაგუნდელებთან შეხვედრამ გული ამიჩქროლა. ჩვენ მოედანზე ერთმანეთს ძველებურად კარგად ვუგებდით.



# ანგულოს შვიდმატჩიანი მიუსაჯეს, ვალენსია 26 ათასით დასაჯეს

„ვალენსიას“ ნახევარმცველი მიგელ ანხელ ანგულო უეფამ შვიდმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ესპანელმა ფეხბურთელმა ჩემპიონთა ლიგის მატჩში ბრემენის „ვერდერთან“ ჯერ ნელსონ ვალდესი ჩაწიხლა, მერე კი მოედნიდან გასვლისას ტიმ ბოროვსკის მიაფურთხა.

ანგულომ მატჩის შემდეგ კი მოიბოდიშა, ნერვები ვერ მოვთოკეო, მაგრამ ბოდიშმა ვერ უშველა. „ვერდერთან“ მარცხის მერე „ვალენსიამ“ უეფას თასზე გადაინაცვლა, მაგრამ ანგულოს თამაში იმ შემთხვევაში ელირსება, თუ მისი გუნდი ნახევარფინალში გააღწევს.

ესპანურ კლუბს 26 000 ევროც ააფცქვნეს, რადგან ვალენსიელმა ფეხბურთელებმა ბრემენელებთან საჩხუბრად გაიწიეს, იქაურმა ქომაგებმა კი მოედანზე ხარახურა ისროლეს.

დაუსჯელი „ვერდერიც“ არ დარჩენილა. ბუნდესლიგელები შედარებით იაფად გამოძვრნენ, მათ 3 000 ევრო გადაიხადეს.

**ვაჟა ხუციშვილი**



# არაგონესი დაცვაში ჩადგა
## მინისტრი ლისავეცკი დაუნდობელია

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ლუის არაგონესის საქმის გამოძიება დაიწყო — ესპანეთის ნაკრების მხცოვან მწვრთნელს რასიზმში ადანაშაულებენ. შეგახსენებთ, რომ არაგონესმა ტიერი ანრის „შავი მაიმუნი“ უწოდა და ეს ამბავი ქვეყანას მოედო. არაგონესმა მოიბოდიშა, მაგრამ ამაოდ. „ველოდი, რომ გამოძიება დაიწყებოდა, რადგან ამის შესახებ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ანხელ მარია ვილარმა მითხრა. ასეთ შემთხვევაში თავდაცვის უფლება ყველას აქვს და თავის დახრას მეც არ ვაპირებ“ — თქვა ბრალდებულმა.

ვილარი, რომელიც გასულ შემოდგომაზე პრეზიდენტად ხელმეორედ აირჩიეს, საგანგებოდ შექმნილ კომისიას შეხვდა. კომისიაში შინაგან საქმეთა და სპორტის სამინისტროების წევრები შედიან.

გამოძიება სავარაუდოდ ორ-სამ თვეს გაგრძელდება. ლუის არაგონესი დამნაშავედ თუ სცნეს, 21 ათასი გირვანქით დააჯარიმებენ და სამწვრთნელო ლიცენზიასაც ჩამოართმევენ. „ჩვენ არავის დავინდობთ, როცა საქმე რასიზმს ეხება“ — განაცხადა სპორტის მინისტრმა ხაიმე ლისავეცკიმ.

**ვაჟა ხუციშვილი**



ლუის არაგონესს თუ რასისტობა დაუმტკიცდა, მწვრთნელობას აუკრძალავენ

# ნოვო და კამარა ფირმა გაშიფრა
## მაკლიშს ტელევიზორი გაუკვირდა

„სელტიკის“ ფორვარდ ანრი კამარასა და „რეინჯერსის“ მეგოლე ნაჩო ნოვოს შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა, შესაბამისად, სამ და ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. ორივე ფეხბურთელის უხეშობა 20 ნოემბრის „ოლდ ფირმში“ მსაჯმა ვერ შეამჩნია, მაგრამ მატჩის ფირზე ნახეს, რომ ნოვომ სელტიკელ სტეფან პირსონს ფეხი ჩაარტყა, კამარამ კი რეინჯერსელ გრეგორი ვინალს უთავაზა.

დასჯილები მომდევნო ტურის შეხვედრებს გამოტოვებენ, მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციოდ შვიდი დღე აქვთ.

„რეინჯერსის“ მწვრთნელმა ალექს მაკლიშმა გუნდის მთავარმეგოლის დისკვალიფიკაციის ამბავი გუშინ „რეინჯერს“ — „ოსერის“ მატჩისწინა პრესკონფერენციაზე შეიტყო და, ცხადია, ეწყინა. „სამ შეხვედრაში ნოვოს გარეშე თამაში ძალიან ცუდია, მაგრამ ვერ გავიგე, 20 ნოემბრის მატჩიდან მაინცდამაინც მისი უხეშობა რატომ ამოქექს, როცა იქ სხვებიც არანაკლებ ცუდად იქცეოდნენ“ — თქვა მაკლიშმა.

**ვაჟა ხუციშვილი**



ანრი კამარა და ნაჩო ნოვო 20 ნოემბრის „ოლდ ფირმმა“ შეიწირა

# ბუმსონში ნიუკასლიდან დაინახეს
## ფრანგი ჩაფარი კაჭკაჭებისთვის



„ნიუკასლს“ გლაზგოს „რეინჯერსიდან“ ფრანგი მცველის, ჟან- ალენ ბუმსონგის შეძენა 8 მილიონ გირვანქად სურს, რადგან გრემ სუნესის გუნდს დაცვის ცენტრში აშკარად უჭირს. „კაჭკაჭების“ მწვრთნელმა დაადასტურა, რომ „ჩაფრებთან“ მცველის თაობაზე უკვე ისაუბრა. „ბუმსონგი ჩვენი პირველი სამიზნეა იანვრის სატრანსფერო ფანჯარაში, თუმც ჯერჯერობით ის „რეინჯერსის“ ფეხბურთელია და მეტს ვერაფერს ვიტყვი“ — განაცხადა „ნიუკასლის“ თავკაცმა.

ჟან-ალენ ბუმსონგი „ოსერიდან“ „რეინჯერსში“ მუქთად გადავიდა, რადგან ფრანგულ კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა. თავად ფეხბურთელს „ლივერპულში“ გადაბარგების ვარიანტი ხიბლავდა, მაგრამ ზაფხულში ჟერარ ულიე მოხსნეს და გეგმაც ჩაფლავდა.

„ბევრმა იცოდა, რომ „ოსერთან“ კონტრაქტი მეწურებოდა, მაგრამ დიდი ევროპული კლუბები ჩემით არ დაინტერესებულან. ამიტომაც დავთანხმდი „რეინჯერსის“ წინადადებას და ხუთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. „ლივერპულში“ ტრანსფერის ჩაშლამ ძალიან ცუდ გუნებაზე დამაყენა და დეპრესიაში ჩავვარდი. ვფიქრობ, არ შევმცდარვარ „რეინჯერსი“ რომ ავირჩიე, ახლა კი აღმოჩნდა, რომ პრემიერლიგის კლუბებმა გამოიღვიძეს და შოტლანდიაში გატარებული ექვსი თვის შემდეგ შემამჩნიეს. მანამდე საფრანგეთის ჩემპიონატში თურმე არ ვჩანდი“ — დაიჩივლა ჟან-ალენ ბუმსონგმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# იაპ სტამს მანჩესტერი მოენატრა

ჰოლანდიელმა მცველმა იაპ სტამმა ინატრა, ნეტავ, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში მეტოქედ „მანჩესტერ იუნაიტედი“ გვერგოსო.

მოგეხსენებათ, სტამი „მილანის“ ფეხბურთელია, მაგრამ ახლა ტრავმირებულია და მოედანს სავარაუდოდ იანვარში დაუბრუნდება.

და რატომ გაიხსენა ახმახმა ჰოლანდიელმა „იუნაიტედი“? მიზეზი უბრალოა, მან 2001 წელს დატოვა „ოლდ ტრეფორდი“ სერ ალექს ფერგიუსონთან უთანხმოების გამო და კარიერის გასაგრძელებლად რომის „ლაციოში“ მიაშურა.

„დიახ, საინტერესო იქნებოდა „მანჩესტერთან“ თამაში. შურისძიება არაფერ შუაშია. უბრალოდ, კიდევ ერთხელ სიამოვნებით ვითამაშებდი „ოლდ ტრეფორდზე“ — ამბობს სტამი.

ასრულდება თუ არა „მილანის“ მცველის ნატვრა, ხვალ შუადღისას შევიტყობთ, როცა შვეიცარიულ ნიონში ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის კენჭისყრა მოეწყობა. ისე, მართლაც დიდი შანსია, „მილანი“ და „მანჩესტერი“ ერთმანეთს დაეჯახნონ.

**გიორგი ვაშაკიძე**



## ფეხბურთის რუკასთან

**უკრაინელი** ანდრეი შევჩენკოს აგენტმა ოსკარ დამიანიმ ბრიტანულ მედიას განუცხადა, „ჩელსის“ მფლობელმა, რომან აბრამოვიჩმა ასტრონომიული თანხაც რომ შემოგვთავაზოს, ჩემი კლიენტი „მილანიდან“ მაინც არ წავაო: „მინდა დაგარწმუნოთ, შევჩენკო იტალიაში თავს ძალიან ბედნიერად გრძნობს და „ჩელსის“ მის გადასაბირებლად შანსიც კი არ აქვს“ — მოკლედ მოჭრა დამიანიმ.

**პორტუგალიური** „პორტუს“ ბრაზილიელი ნახევარმცველი დიეგო საკონტინენტთაშორისო თასის ფინალურ მატჩში „ონსე კალდასთან“ მინდვრიდან გააძევეს. შესაბამისად, იგი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა, რომელიც ჩემპიონთა ლიგაზეც ვრცელდება. მოკლედ, დიეგო ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველ შეხვედრას გამოტოვებს.

**შოტლანდიის** მესამე დივიზიონის „გრეტნას“ ფორვარდმა გასულ უქმეებზე „ელგინთან“ მატჩში ჰეთ თრიქი შეასრულა და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა (3:0). კენი დეჩარმა მესამე გოლი მეტოქის მცველისგან რიკოშეტით შეაგდო, მაგრამ „გრეტნას“ ერთ-ერთმა მფლობელმა ბრუკს მაილესონმა ეს ბურთიც დეჩარს მიათვალა და პრემიის სახით ამ უკანასკნელს 300 ათას გირვანქად ღირებული საკუთარი ავტომობილი „ასტონ მარტინი“ აჩუქა.

**იტალიის** ნაკრებისა და „მილანის“ ნახევარმცველი ჯენარო გატუზო დაქორწინდა. „რინომ“ ცოლად თავისი დიდი ხნის მეგობარი, მონიკა შეირთო. ქორწილი მილანში, ვიწრო წრეში გაიმართა. შეგახსენებთ, რომ გატუზო დიდი ხანია, აპირებდა მონიკაზე დაქორწინებას. იგი ფეხბურთელმა ჯერ კიდევ „რეინჯერსში“ თამაშისას გაიცნო და ზაფხულში მათ გოგონა, გაბრიელა შეეძინათ.

**რუსეთის** ნაკრებისა და მოსკოვის „დინამოს“ ფორვარდ დმიტრი ბულიკინით ინგლისური „ბოლტონის“ გარდა, „კრისტალ პალასიც“ დაინტერესდა. როგორც „არწივთა“ თავკაცმა იან დოუვიმ განაცხადა, ბულიკინი მას თავის თავს აგონებს. დოუვი გუნდისთვის მეორე ფორვარდს, ენდრიუ ჯონსონის მეწყვილეს ეძებს, რადგანაც იტალიელმა ნიკოლა ვენტოლამ ინგლისელთა მოლოდინი ვერ გაამართლა. „კრისტალ პალასის“ მწვრთნელის თქმით, 25 წლის რუსი თავდამსხმელი მის გუნდს მნიშვნელოვნად გააძლიერებს.

**ინგლისურმა** „ნიუკასლმა“ იანვარში შესაძლოა „ბლექბერნისა“ და აშშ-ს ნაკრების გოლკიპერი ბრედ ფრიდელი გადაიბიროს. „კაჭკაჭები“ ამ ტრანსფერზე იმ შემთხვევაში იფიქრებენ, თუ ირლანდიელი მეკარის, შეი გივენის შენარჩუნება ვერ შეძლეს. ამ უკანასკნელით კი „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „არსენალი“ არიან დაინტერესებულნი.

**ჰოლანდიურმა** „ფეიენოორდმა“ ახალი ფეხბურთელი შეიძინა. როტერდამელთა თავკაც რუუდ გულიტის ინიციატივით გუნდს 21 წლის ნახევარმცველი ნიკი ჰოფსი შეუერთდა. ეს უკანასკნელი აქამდე არნემის „ვიტესის“ ღირსებას იცავდა. მხარეებმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმეს კიდევ ორი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით. ჰოფსმა„ ვიტესში“ 68 მატჩი ჩაატარა და 15 გოლიც გაიტანა.

**ინგლისური** „არსენალის“ ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ედუმ აღნიშნა, რომ მზადაა, მადრიდის „რეალში“ გადასასვლელად, თუ „მეთოფეების“ მას სარფიან წინადადებას არ შესთავაზებენ. თავის მხრივ, „სამეფო კლუბის“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „რეალი“ ლონდონელებთან მოლაპარაკებას 31 დეკემბრამდე გამართავს და თუ შეთანხმებას ვერ მიაღწევს, სხვა ფეხბურთელის გადაბირებაზე იფიქრებს. ამბობენ, ედუს შეძენა კიდევ ორ ესპანურ კლუბს, „ვალენსიას“ და „ბარსელონას“ სურსო.

## ამხანაგური მატჩი

**ბარსელონა 2:1 აიაქსი**

1:0, 2:0 ეტოო (1, 29), 2:1 ლინდგრენი (89)

ბარსელონა: ვ. ვალდესი (რუბენი 46), დამია (ოლეგერი 46), პუიოლი, ფ. ნავარო, სილვინიო (რიერა 69), ინიესტა (როდრი 46), ხავი (პენია 46), დეკო (ხავიტო 69), ვან ბრონკჰორსტი (ფრაგოსო 46), ეტოო (კრისტიანი 46), მესი

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

აიაქსი: შტეკელენბურგი, ესკუდე, ნ. დე იონგი (ემანუელსონი 60), მაქსველი (ფილიპე 46), გალაშეკი (მადურო 60), ობოდაი, სნეიდერი (ბუხარი 46), ვან დერ ვაარტი, როსალესი (დე რიგერი 46), ანასტასიუ, მიტია (მანუჩარიანი 46; ლინდგრენი 59)

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

გაფრთხილება: ნავარო, როდრი, ბუხარი

მსაჯი: ლიზონდო კორტესი

50 000 მაყურებელი

სარბიელი
სამუშაოდ
იწვევს
გაზეთში ნამუშევარ
დამკაბადონებელს
მიღება
მოხდება
შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ
„სარბიელის“ რედაქციაში,
ალექსანდრე ყაზბეგის
გამზირი 42, II კორპუსი,
IV სართული,
15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ
39-48-29, 38-11-14

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 3 | ბირმინგემი-ვესტ ბრომვიჩი | 1.85 | 3.3 | 3.95 | 1.18 | 1.25 | 1.79 |
| 18:00 | 4 | ტოტენჰემი-საუთჰემპტონი | 1.75 | 3.3 | 4.5 | 1.14 | 1.25 | 1.9 |
| 18:00 | 5 | ჩელსი-ნორვიჩი | 1.2 | 5.5 | 9.5 | 1.0 | 1.06 | 3.48 |
| 18:00 | 6 | ბოლტონი-სიტი | 2.15 | 3.2 | 3.15 | 1.28 | 1.27 | 1.58 |
| 18:00 | 7 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 1.95 | 3.3 | 3.6 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 18:00 | 8 | ბლექბერნი-ევერტონი | 2.6 | 3.2 | 2.5 | 1.43 | 1.27 | 1.4 |
| 20:15 | 9 | მანჩესტერი-კრ. პალასი | 1.25 | 4.8 | 9.6 | 1.0 | 1.1 | 3.2 |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 16:30 | 10 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.8 | 3.3 | 4.3 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 19:05 | 11 | პორტსმუთი-არსენალი | 5.6 | 3.4 | 1.6 | 2.11 | 1.24 | 1.08 |
| | | **20 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 12 | ჩარლტონი-ფულემი | 1.95 | 3.3 | 3.55 | 1.22 | 1.25 | 1.71 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 13 | ბრაიტონი-სტოკი | 2.45 | 3.2 | 2.6 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 22:45 | 14 | ნოტინგემი-ლესტერი | 2.45 | 3.1 | 2.6 | 1.36 | 1.26 | 1.41 |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 15 | შეფილდი-კარდიფი | 1.7 | 3.4 | 4.3 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 15:45 | 16 | რედინგი-ქპრ | 1.9 | 3.2 | 3.8 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 18:00 | 17 | ქოვენთრი-უოტფორდი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 18 | პრესტონი-ვესტ ჰემი | 2.55 | 3.1 | 2.5 | 1.39 | 1.26 | 1.38 |
| 18:00 | 19 | ვულვერჰემპტონი-ქრიუ | 1.9 | 3.2 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| 18:00 | 20 | პლიმუთი-დერბი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 21 | სანდერლენდი-ბარნლი | 1.7 | 3.3 | 4.5 | 1.12 | 1.23 | 1.9 |
| 18:00 | 22 | ჯილინგემი-როტერჰემი | 2.05 | 3.3 | 3.2 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 23 | ლიდსი-მილუოლი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 24 | ჰადერსფილდი-ბრედფორდი | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 25 | ბრენტფორდი-კოლჩესტერი | 1.65 | 3.5 | 4.6 | 1.12 | 1.21 | 1.98 |
| 18:00 | 26 | რექსემი-ჰარტლპული | 2.3 | 3.2 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 18:00 | 27 | ბრისტოლი-ლუტონი | 2.45 | 3.2 | 2.6 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 18:00 | 28 | პორტ ვეილი-ოლდემი | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 29 | ბარნსლი-პიტერბრო | 1.8 | 3.2 | 3.95 | 1.15 | 1.23 | 1.76 |
| 18:00 | 30 | ბორნმუთი-სუინდონი | 1.85 | 3.2 | 3.8 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 18:00 | 31 | ჩესტერფილდი-ტორკი | 1.6 | 3.4 | 5.0 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 18:00 | 32 | ჰალი-ტრანმერი | 2.1 | 3.2 | 3.1 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 33 | უოლსოლი-ბლეკპული | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 18:00 | 34 | სტოკპორტი-დონსი | 2.3 | 3.3 | 2.6 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 35 | დონკასტერი-უენსდი | 2.32 | 3.2 | 2.65 | 1.34 | 1.23 | 1.44 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 36 | საუთენდი-ჩესტერი | 1.75 | 3.3 | 4.1 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| 22:45 | 37 | გრიმსბი-ოქსფორდი | 1.95 | 3.3 | 3.3 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 38 | შრიუსბერი-მენსფილდი | 2.35 | 3.2 | 2.6 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 18:00 | 39 | მაკლსფილდი-ნორთჰემპტონი | 2.1 | 3.2 | 3.0 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 40 | სუონსი-ნოტსი | 1.55 | 3.5 | 5.2 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| 18:00 | 41 | ბოსტონი-დარლინგტონი | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 42 | ჩელტენემი-კიდერმინსტერი | 1.65 | 3.3 | 4.7 | 1.1 | 1.22 | 1.93 |
| 18:00 | 43 | როჩდეილი-როვერსი | 2.1 | 3.2 | 3.1 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 44 | კემბრიჯი-ბერი | 2.55 | 3.2 | 2.4 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| 18:00 | 45 | რაშდენი-სკანთორპი | 3.15 | 3.2 | 2.05 | 1.58 | 1.24 | 1.24 |
| 18:00 | 46 | ლეიტონი-იოვილი | 2.35 | 3.2 | 2.6 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 18:00 | 47 | უიკომბი-ლინკოლნი | 2.2 | 3.2 | 2.85 | 1.3 | 1.24 | 1.5 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 48 | იორკი-ქროული | 2.4 | 3.2 | 2.6 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 18:00 | 49 | აკრინგტონი-დაგ ენდ რედი | 1.85 | 3.4 | 3.6 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| 18:00 | 50 | კონვი-ფარნბორო | 2.2 | 3.2 | 2.9 | 1.3 | 1.25 | 1.52 |
| 18:00 | 51 | ჰერეფორდი-გრეივსენდი | 1.55 | 3.5 | 5.2 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| 18:00 | 52 | ფორესტ გრინი-ჰალიფაქსი | 2.95 | 3.2 | 2.15 | 1.53 | 1.24 | 1.28 |
| 18:00 | 53 | ალდერშოტი-ლეი | 1.4 | 3.8 | 7.0 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 18:00 | 54 | მორიკომბი-ნორთვიჩი | 1.75 | 3.3 | 4.1 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| 18:00 | 55 | ექსეტერი-სკარბორო | 2.15 | 3.2 | 2.9 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 18:00 | 56 | ბარტონი-სტივენეიჯი | 2.5 | 3.3 | 2.4 | 1.42 | 1.22 | 1.38 |
| 18:00 | 57 | ბარნეტი-ტემუორთი | 1.4 | 3.8 | 7.0 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 18:00 | 58 | კარლაილი-უოკინგი | 1.65 | 3.5 | 4.5 | 1.12 | 1.2 | 1.96 |
| | | **შოტლანდია** | | | | | | |
| | | **პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 59 | მოხერუელი-ინვერნესი | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 18:00 | 60 | დანდი-აბერდინი | 2.8 | 3.2 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| 18:00 | 61 | სელტიკი-დანდი იუნაიტედი | 1.15 | 6.0 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 4.0 |
| 18:00 | 62 | ჰიბერნიანი-დანფერმლაინი | 1.65 | 3.4 | 4.6 | 1.11 | 1.21 | 1.95 |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 63 | კილმარნოკი-რეინჯერსი | 9.5 | 4.5 | 1.25 | 3.05 | 1.1 | 1.0 |
| 18:00 | 64 | ლივინგსტონი-ჰარტსი | 2.75 | 3.3 | 2.2 | 1.5 | 1.22 | 1.32 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 65 | რეითი-ერდრი | 3.4 | 3.4 | 1.85 | 1.7 | 1.19 | 1.19 |
| 18:00 | 66 | როსი-კლაიდი | 2.65 | 3.4 | 2.2 | 1.48 | 1.2 | 1.33 |
| 18:00 | 67 | პარტიკი-ჰამილტონი | 2.1 | 3.3 | 2.9 | 1.28 | 1.21 | 1.54 |
| 18:00 | 68 | ფოლკირკი-ქუინი | 1.45 | 3.5 | 6.3 | 1.02 | 1.17 | 2.25 |
| 18:00 | 69 | სტ.ჯონსტონი-სტ.მირენი | 2.2 | 3.4 | 2.7 | 1.33 | 1.21 | 1.5 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 70 | ალოა-არბროთი | 2.15 | 3.3 | 2.75 | 1.3 | 1.2 | 1.5 |
| 18:00 | 72 | ფორფარი-მორტონი | 2.8 | 3.5 | 2.05 | 1.55 | 1.18 | 1.29 |
| 18:00 | 73 | ეარი-სტირლინგი | 2.2 | 3.5 | 2.6 | 1.35 | 1.19 | 1.49 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 75 | ალბიონი-კოუდენბითი | 3.2 | 3.4 | 1.9 | 1.64 | 1.19 | 1.21 |
| 18:00 | 76 | მონტროუზი-ისტ სტირლინგი | 1.3 | 4.5 | 6.5 | 1.0 | 1.08 | 2.65 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 78 | პიტერჰედი-ქუინზ პარკი | 1.25 | 5.0 | 8.0 | 1.0 | 1.08 | 3.07 |
| 18:00 | 79 | გრეტნა-სტენჰაუზმური | 1.15 | 6.0 | 10.0 | 1.0 | 1.03 | 3.75 |

### იტალია. სერია A

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 80 | მესინა-ატალანტა | 1.75 | 3.1 | 4.9 | 1.11 | 1.28 | 1.89 |
| 22:30 | 81 | იუვენტუსი-მილანი | 2.3 | 2.9 | 3.2 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 82 | რომა-პარმა | 1.55 | 3.6 | 5.7 | 1.08 | 1.21 | 2.2 |
| 17:00 | 83 | ბოლონია-რეჯინა | 1.9 | 3.0 | 4.2 | 1.16 | 1.3 | 1.75 |
| 17:00 | 84 | ლეჩე-სამპდორია | 2.25 | 3.0 | 3.2 | 1.28 | 1.32 | 1.54 |
| 17:00 | 85 | ინტერი-ბრეშა | 1.35 | 4.0 | 9.0 | 1.0 | 1.17 | 2.76 |
| 17:00 | 86 | ფიორენტინა-კიევო | 1.95 | 3.0 | 4.0 | 1.18 | 1.31 | 1.71 |
| 17:00 | 87 | უდინეზე-ლაციო | 1.8 | 3.1 | 4.6 | 1.13 | 1.29 | 1.85 |
| 17:00 | 88 | სიენა-ლივორნო | 2.25 | 2.9 | 3.3 | 1.26 | 1.33 | 1.54 |
| 22:30 | 89 | პალერმო-კალიარი | 1.9 | 2.9 | 4.4 | 1.14 | 1.32 | 1.74 |

### იტალია. სერია B

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 91 | კატანია-სალერნიტანა | 2.1 | 2.7 | 3.5 | 1.18 | 1.31 | 1.52 |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 92 | ტრიესტინა-ტორინო | 2.6 | 2.6 | 2.8 | 1.29 | 1.34 | 1.34 |
| 17:00 | 93 | ჯენოა-ემპოლი | 1.75 | 2.9 | 4.6 | 1.09 | 1.26 | 1.77 |
| 17:00 | 94 | ბარი-მოდენა | 2.05 | 2.8 | 3.5 | 1.18 | 1.29 | 1.55 |
| 17:00 | 95 | არეცო-პერუჯა | 2.4 | 2.6 | 3.1 | 1.24 | 1.35 | 1.41 |
| 17:00 | 96 | ტერნანა-პესკარა | 1.85 | 2.7 | 4.7 | 1.09 | 1.32 | 1.71 |
| 17:00 | 97 | ალბინოლეფე-პიაჩენცა | 2.45 | 2.7 | 2.8 | 1.28 | 1.3 | 1.37 |
| 17:00 | 98 | ტრევისო-კატანძარო | 1.75 | 2.8 | 5.0 | 1.07 | 1.29 | 1.79 |
| 17:00 | 99 | კროტონე-ვენეცია | 1.95 | 2.7 | 4.0 | 1.13 | 1.31 | 1.61 |
| 17:00 | 100 | ვერონა-ვიჩენცა | 1.8 | 2.7 | 4.8 | 1.08 | 1.3 | 1.72 |
| | | **20 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 101 | ასკოლი-ჩეზენა | 1.8 | 2.8 | 4.5 | 1.09 | 1.28 | 1.72 |

### ესპანეთი. I დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 121 | ლევანტე-ალბასეტე | 1.85 | 3.3 | 4.1 | 1.18 | 1.27 | 1.82 |
| 22:00 | 129 | რასინგი-რეალი | 4.2 | 3.3 | 1.8 | 1.84 | 1.25 | 1.16 |
| 23:45 | 130 | ბარსელონა-ვალენსია | 1.65 | 3.5 | 4.9 | 1.12 | 1.23 | 2.04 |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 122 | სარაგოსა-ბილბაო | 1.95 | 3.3 | 3.6 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 21:00 | 123 | სევილია-ბეტისი | 2.3 | 3.0 | 3.1 | 1.3 | 1.32 | 1.52 |
| 19:00 | 124 | ნუმანსია-ესპანიოლი | 2.9 | 3.0 | 2.4 | 1.47 | 1.31 | 1.33 |
| 19:00 | 125 | სოსიედადი-ხეტაფე | 1.7 | 3.4 | 4.7 | 1.13 | 1.24 | 1.97 |
| 23:00 | 126 | ატლეტიკო-დეპორტივო | 2.3 | 3.0 | 3.1 | 1.3 | 1.32 | 1.52 |
| 19:00 | 127 | ვილიარეალი-მალაგა | 1.7 | 3.4 | 4.65 | 1.13 | 1.24 | 1.96 |
| 19:00 | 128 | მალიორკა-ოსასუნა | 2.3 | 3.1 | 3.0 | 1.32 | 1.3 | 1.52 |

### ესპანეთი. II დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 134 | სპორტინგი-ეიბარი | 2.6 | 2.6 | 2.8 | 1.29 | 1.34 | 1.34 |
| 20:30 | 136 | ტარაგონა-ლეიდა | 2.3 | 2.6 | 3.2 | 1.22 | 1.33 | 1.43 |
| 20:30 | 137 | კადისი-ტენერიფე | 1.75 | 2.8 | 4.6 | 1.07 | 1.26 | 1.74 |
| 20:00 | 138 | მურსია-ტერასა | 2.3 | 2.6 | 3.2 | 1.22 | 1.33 | 1.43 |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 131 | ალავესი-ალმერია | 1.95 | 2.8 | 3.8 | 1.14 | 1.28 | 1.61 |
| 19:00 | 133 | ეხიდო-კორდობა | 1.65 | 2.8 | 5.4 | 1.03 | 1.26 | 1.84 |
| 19:00 | 135 | სალამანკა-ელჩე | 2.65 | 2.6 | 2.75 | 1.31 | 1.34 | 1.33 |
| 14:00 | 139 | მალაგა ბ-ვალიადოლიდი | 2.65 | 2.6 | 2.75 | 1.31 | 1.34 | 1.33 |
| 20:00 | 140 | უელვა-სერესი | 2.4 | 2.6 | 3.0 | 1.24 | 1.33 | 1.39 |
| 14:00 | 141 | სელტა-პონტევედრა | 1.65 | 2.9 | 5.4 | 1.05 | 1.26 | 1.88 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 142 | ლიონი-მარსელი | 1.7 | 3.2 | 4.8 | 1.11 | 1.25 | 1.91 |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:15 | 143 | მონაკო-ბორდო | 1.85 | 3.2 | 3.9 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 22:00 | 144 | აიაჩო-ლილი | 3.0 | 2.8 | 2.45 | 1.44 | 1.34 | 1.3 |
| 22:00 | 145 | პსჟ-მეცი | 1.7 | 3.1 | 5.1 | 1.09 | 1.27 | 1.92 |
| 22:00 | 146 | ოსერი-ნიცა | 1.8 | 3.1 | 4.6 | 1.13 | 1.29 | 1.85 |
| 22:00 | 147 | სტრასბური-რენი | 2.05 | 2.9 | 3.8 | 1.2 | 1.33 | 1.64 |
| 22:00 | 148 | ისტრი-სტ.ეტიენი | 2.6 | 2.7 | 2.95 | [illegible] | [illegible] | 1.4 |
| 22:00 | 149 | ლანსი-ბასტია | 1.75 | 3.2 | 4.7 | 1.13 | 1.27 | 1.9 |
| 22:00 | 150 | კაენი-ტულუზი | 2.35 | 2.7 | [illegible] | 1.25 | 1.38 | [illegible] |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 151 | ნანტი-სოშო | 2.45 | 2.7 | 3.2 | 1.28 | 1.38 | 1.46 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 152 | ლორიანი-ბრესტი | 2.3 | 2.7 | 3.4 | 1.24 | 1.37 | 1.5 |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 153 | ტრუა-შატორუ | 1.9 | 2.8 | 4.3 | 1.13 | 1.31 | 1.69 |
| 22:00 | 154 | ლავალი-კრეტეი | 1.8 | 3.0 | 4.4 | 1.12 | 1.27 | 1.78 |
| 22:00 | 155 | ნანსი-გრენობლი | 1.6 | 3.3 | 5.3 | 1.07 | 1.22 | 2.03 |
| 22:00 | 156 | ნიორი-გენიონი | 2.45 | 2.7 | 3.0 | 1.28 | 1.34 | 1.42 |
| 22:00 | 157 | გენგამი-ლე ავრი | 1.85 | 2.9 | 4.4 | 1.12 | 1.3 | 1.74 |
| 22:00 | 158 | ამიენი-ლე მანი | 2.1 | 2.9 | 3.4 | 1.21 | 1.29 | 1.56 |
| 22:00 | 159 | დიჟონი-მონპელიე | 2.4 | 2.8 | 2.95 | 1.29 | 1.32 | 1.43 |
| 22:00 | 160 | კლერმონი-რეიმსი | 2.05 | 2.8 | 3.6 | 1.18 | 1.3 | 1.57 |
| 22:00 | 161 | ანჟე-სედანი | 2.5 | 2.8 | 2.8 | 1.32 | 1.32 | 1.39 |

### ბელგია. I დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 162 | მონსი-ანდერლეხტი | 8.0 | 4.5 | 1.3 | 2.88 | 1.11 | 1.0 |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 163 | გენკი-სერკლი | 1.3 | 4.4 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.83 |
| 22:00 | 164 | ლოკერენი-შარლერუა | 2.3 | 3.4 | 2.7 | 1.37 | 1.24 | 1.5 |
| 22:00 | 165 | ვესტერლო-გენტი | 2.7 | 3.4 | 2.3 | 1.5 | 1.24 | 1.37 |
| 22:00 | 166 | ლუვიე-ლიერსი | 2.0 | 3.1 | 3.35 | 1.21 | 1.25 | 1.61 |
| 22:00 | 167 | ბრიუსელი-მუსკრონი | 2.5 | 3.3 | 2.5 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 168 | სტანდარდი-ოსტენდე | 1.2 | 5.5 | 11.0 | 1.0 | 1.08 | 3.66 |
| 17:00 | 169 | ბევერენი-ბეერსხოტი | 1.9 | 3.4 | 3.5 | 1.21 | 1.23 | 1.72 |
| 21:00 | 170 | ბრიუგე-სტ.ტრუიდენი | 1.2 | 5.5 | 11.0 | 1.0 | 1.08 | 3.66 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 180 | ვიტესი-გრააფსხაპი | 1.3 | 4.7 | 8.4 | 1.01 | 1.12 | 3.01 |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 181 | ტვენტე-ბრედა | 2.2 | 3.3 | 2.9 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 182 | პსვ-როდა | 1.25 | 5.2 | 9.3 | 1.0 | 1.1 | 3.33 |
| 21:30 | 183 | როზენდალი-ალკმაარი | 5.5 | 3.6 | 1.55 | 2.17 | 1.2 | 1.08 |
| 22:00 | 184 | ვალვაიკი-ტილბურგი | 2.3 | 3.3 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.5 |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 14:30 | 185 | დენ ჰააგი-ფეიენოორდი | 6.0 | 3.6 | 1.5 | 2.25 | 1.2 | 1.05 |
| 16:30 | 186 | ნაიმეგენი-ჰერენვენი | 2.7 | 3.3 | 2.35 | 1.48 | 1.25 | 1.37 |
| 16:30 | 187 | უტრეხტი-დენ ბოსხი | 1.3 | 4.3 | 9.4 | 1.0 | 1.14 | 2.95 |
| 16:30 | 188 | გრონინგენი-აიაქსი | 4.8 | 3.6 | 1.6 | 2.05 | 1.2 | 1.1 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 189 | დორდრეხტი-აპელდორნი | 1.9 | 3.5 | 3.2 | 1.23 | 1.19 | 1.67 |
| 22:00 | 190 | მაასტრიხტი-ემენი | 2.05 | 3.4 | 3.0 | 1.27 | 1.21 | 1.59 |
| 22:00 | 191 | ზვოლე-ექსელსიორი | 1.7 | 3.5 | 3.9 | 1.14 | 1.18 | 1.84 |
| 22:00 | 192 | ოსი-ვოლენდამი | 2.45 | 3.4 | 2.4 | 1.42 | 1.21 | 1.4 |
| 22:00 | 193 | ტელსტარი-სიტარდი | 1.9 | 3.5 | 3.2 | 1.23 | 1.19 | 1.67 |
| 22:00 | 194 | სპარტა-იგლსი | 1.55 | 3.8 | 4.8 | 1.1 | 1.17 | 2.12 |
| 22:00 | 195 | ვენლო-ჰელმონდი | 2.05 | 3.4 | 3.0 | 1.27 | 1.21 | 1.59 |
| 22:00 | 196 | ვეენდამი-ჰერაკლესი | 2.65 | 3.4 | 2.25 | 1.48 | 1.21 | 1.35 |
| 22:00 | 197 | კამბური-ჰაარლემი | 2.4 | 3.4 | 2.45 | 1.4 | 1.21 | 1.42 |

### პორტუგალია
### სუპერლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 204 | პორტუ-მორეირენსე | 1.2 | 5.3 | 9.5 | 1.0 | 1.06 | 3.4 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:15 | 201 | ბრაგა-ბოავიშტა | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 23:45 | 205 | ბენფიკა-პენაფიელი | 1.3 | 4.3 | 8.4 | 1.0 | 1.12 | 2.84 |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 199 | აკადემიკა-ბეირა მარი | 2.1 | 3.1 | 3.3 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 21:15 | 200 | ნასიონალი-ბელენენსეში | 2.15 | 3.1 | 3.2 | 1.26 | 1.28 | 1.57 |
| 19:00 | 202 | ჟილ ვისენტე-ეშტორილი | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |
| 23:30 | 203 | სეტუბალი-ლეირია | 2.1 | 3.1 | 3.3 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 19:00 | 206 | მარიტიმუ-რიუ ავე | 1.9 | 3.1 | 3.7 | 1.17 | 1.25 | 1.68 |
| | | **20 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 198 | ვიმარაეში-სპორტინგი | 3.2 | 3.1 | 2.1 | 1.57 | 1.26 | 1.25 |

### პორტუგალია. I დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 209 | მაია-ავეში | 1.95 | 3.1 | 3.25 | 1.19 | 1.21 | 1.58 |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:30 | 207 | ნავალი-ფეირენსე | 1.65 | 3.3 | 4.45 | 1.1 | 1.2 | 1.89 |
| 18:00 | 208 | ვარზიმი-ალვერკა | 2.0 | 3.0 | 3.3 | 1.2 | 1.24 | 1.57 |
| 18:00 | 210 | შავეში-გონდომარი | 2.25 | 3.1 | 2.65 | 1.3 | 1.21 | 1.42 |
| 18:00 | 211 | ლეიშოეში-ოვარენსე | 2.25 | 3.1 | 2.8 | 1.3 | 1.24 | 1.47 |
| 19:00 | 212 | ამადორა-ფერეირა | 1.95 | 3.0 | 3.3 | 1.18 | 1.22 | 1.57 |
| 18:30 | 213 | პორტიმონენსე-სანტა კლარა | 1.95 | 3.1 | 3.3 | 1.19 | 1.22 | 1.59 |
| 18:30 | 214 | ფელგეირაში-ესპინიუ | 2.0 | 3.1 | 3.2 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 18:00 | 215 | მარკუ-ოლიანენსე | 1.95 | 3.1 | 3.3 | 1.19 | 1.22 | 1.59 |

### თურქეთი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 224 | დენიზლი-გალათასარაი | 3.6 | 3.2 | 1.9 | 1.69 | 1.24 | 1.19 |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 225 | გაზიანთეფი-გენჩლერი | 1.9 | 3.1 | 3.85 | 1.17 | 1.27 | 1.71 |
| 17:00 | 226 | ტრაბზონი-ისთანბული | 1.25 | 4.6 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.04 |
| 17:00 | 227 | ანკარაგიუჯიუ-რიზე | 2.45 | 3.1 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| 20:00 | 228 | ფენერბაჩე-კონია | 1.2 | 5.3 | 9.5 | 1.0 | 1.06 | 3.4 |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 229 | საკარია-მალათია | 3.1 | 3.0 | 2.15 | 1.52 | 1.26 | 1.25 |
| 15:00 | 230 | ანკარა-კაისერი | 1.85 | 3.2 | 3.8 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 15:00 | 231 | დიარბაქირი-სამსუნი | 2.05 | 3.1 | 3.3 | 1.23 | 1.26 | 1.59 |
| 20:00 | 232 | ბეშიქთაში-სებათი | 1.2 | 5.1 | 9.5 | 1.0 | 1.06 | 3.31 |

### უეფას თასი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 253 | პართსი-ფერენცვაროში | 1.5 | 3.9 | 5.2 | 1.08 | 1.16 | 2.22 |
| 22:45 | 254 | ბაზელი-ფეიენოორდი | 1.6 | 3.7 | 4.8 | 1.11 | 1.2 | 2.08 |
| 22:45 | 255 | პარმა-ბეშიქთაში | 2.05 | 3.5 | 2.9 | 1.29 | 1.2 | 1.58 |
| 22:45 | 256 | სტანდარდი-ბილბაო | 2.45 | 3.1 | 2.6 | 1.36 | 1.26 | 1.41 |
| 22:45 | 258 | ბრიუგე-სარაგოსა | 2.05 | 3.3 | 3.2 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 22:45 | 259 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.6 | 3.4 | 5.3 | 1.08 | 1.2 | 2.07 |
| 22:45 | 260 | სოშო-პანიონიოსი | 1.2 | 5.0 | 10.2 | 1.0 | 1.07 | 3.35 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სამხ.ამერიკ.თასი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 263 | ბოკა ხუნიორსი-ბოლივარი | 1.25 | 4.4 | 8.5 | 1.0 | 1.08 | 2.89 |

### ჰოკეი. გერმანია

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 272 | მანჰაიმი-ჰამბურგი | 1.7 | 4.4 | 3.0 | 1.22 | 1.08 | 1.78 |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 273 | დიუსელდორფი-ჰანოვერი | 1.55 | 4.5 | 3.4 | 1.15 | 1.06 | 1.93 |
| 21:30 | 274 | ინგოლშტადი-ნიურნბერგი | 2.15 | 4.2 | 2.3 | 1.42 | 1.11 | 1.48 |
| 21:30 | 275 | ფრანკფურტი-აუგსბურგი | 1.55 | 4.5 | 3.7 | 1.15 | 1.09 | 2.03 |
| 21:30 | 276 | კასელი-ვოლფსბურგი | 2.1 | 4.3 | 2.3 | 1.41 | 1.09 | 1.49 |
| 21:30 | 277 | კიოლნი-იზერლონი | 1.4 | 4.4 | 4.8 | 1.06 | 1.08 | 2.29 |
| 21:30 | 278 | კრეფელდი-აისბარენი | 2.15 | 4.1 | 2.3 | 1.41 | 1.11 | 1.47 |

CROCO
BOOKMAKERS
კროკო
ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით
CROCO
BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24
+%

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10253 | პართსი-ფერენცვაროში | 1.85 | 2.3 | 5.0 | 1.02 | 1.35 | 1.57 |
| 10254 | ბაზელი-ფეიენოორდი | 1.9 | 2.1 | 4.8 | 1.0 | 1.36 | 1.46 |
| 10255 | პარმა-ბეშიქთაში | 2.5 | 2.0 | 3.8 | 1.11 | 1.5 | 1.31 |
| 10256 | სტანდარდი-ბილბაო | 2.9 | 2.0 | 3.3 | 1.18 | 1.54 | 1.24 |
| 10258 | ბრიუგე-სარაგოსა | 2.5 | 2.0 | 3.8 | 1.11 | 1.5 | 1.31 |
| 10259 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.9 | 2.1 | 4.8 | 1.0 | 1.36 | 1.46 |
| 10260 | სოშო-პანიონიოსი | 1.4 | 2.7 | 6.5 | 1.0 | 1.15 | 1.9 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14253 | პართსი-ფერენცვაროში | 1.3 | 2.5 |
| 14254 | ბაზელი-ფეიენოორდი | 1.45 | 2.4 |
| 14255 | პარმა-ბეშიქთაში | 1.75 | 2.1 |
| 14256 | სტანდარდი-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 14258 | ბრიუგე-სარაგოსა | 1.75 | 2.1 |
| 14259 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.45 | 2.4 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11253 | პართსი-ფერენცვაროში | 2.0 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11254 | ბაზელი-ფეიენოორდი | 2.1 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11255 | პარმა-ბეშიქთაში | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11256 | სტანდარდი-ბილბაო | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11258 | ბრიუგე-სარაგოსა | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11259 | ნიუკასლი-სპორტინგი | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.4 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15253 | პართსი-ფერენცვაროში | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15254 | ბაზელი-ფეიენოორდი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15255 | პარმა-ბეშიქთაში | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15256 | სტანდარდი-ბილბაო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15258 | ბრიუგე-სარაგოსა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15259 | ნიუკასლი-სპორტინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15260 | სოშო-პანიონიოსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13253 | პართსი-ფერენცვაროში | 1.7 | 1.9 |
| 13254 | ბაზელი-ფეიენოორდი | 1.7 | 1.9 |
| 13255 | პარმა-ბეშიქთაში | 1.7 | 1.9 |
| 13256 | სტანდარდი-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 13258 | ბრიუგე-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |
| 13259 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.7 | 1.9 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12253 | პართსი-ფერენცვაროში | 1.9 | 1.7 |
| 12254 | ბაზელი-ფეიენოორდი | 1.9 | 1.7 |
| 12255 | პარმა-ბეშიქთაში | 1.8 | 1.8 |
| 12256 | სტანდარდი-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 12258 | ბრიუგე-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |
| 12259 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.8 | 1.8 |
| 12260 | სოშო-პანიონიოსი | 1.9 | 1.7 |



# ბაკურ გოგიტიძე: არჩევანი არჩევნებამდე

*საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გუშინდელი ყრილობა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში ისე დაიწყო და დასრულდა, როგორც ყველა ელოდა. საჭიდაო სამყარომ ოთხი წლის ნამუშევარი შეაჯამა, სარევიზიო კომისიას მოუსმინა, ბოლოს კი ახალ წინამძღოლად ვეტერანი მოჭიდავე, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ბაკურ გოგიტიძე აირჩია. ყრილობის მთავარი ნაწილი სწორედ საპრეზიდენტო არჩევნები იყო, თუმც ამ საქმეს სხვა საკითხების მოგვარებაზე ნაკლები დრო ეყო. გოგიტიძის გარდა ფედერაციაში განაცხადი არავის შეუტანია და ყრილობის დაწყებამდე ოთხი-ხუთი დღით ადრეც ცნობილი იყო, რომ პრეზიდენტი ის გახდებოდა, თან მოწინააღმდეგეც არავინ ჩანდა...*

მოჭიდავეთა ერთსულოვნება ყრილობის დაწყებისთანავე თვალში საცემი გახდა. დღის წესრიგს მშვიდად, უემოციოდ მიჰყვნენ და ის იყო მთავარ საქმეს მიადგნენ, არასასურველი განცხადებების მოსმენა მოუხდათ. განმცხადებლები კი სხდომაზე მიწვეული დეპუტატები, დავით კირკიტაძე და გია ნაცვლიშვილი იყვნენ. მათ დელეგატებს ქართული ჭიდაობის ინტერესებიდან გამომდინარე, არჩევნების თარილის გადაწევა, მანამდე კი კონსულტაციები შესთავაზეს, თუმც ერთი თვალის გადავლებითაც ჩანდა, დელეგატები საარჩევნოდ იყვნენ შემართულნი. ხელისუფლების წარმომადგენლებმაც გაცლა ამჯობინეს.

დავით კირკიტაძე: „არჩევნების ჩაშლა ჩვენი მიზანი ნამდვილად არ ყოფილა. არც რაიმე დაპირისპირება არსებობს. ბაკურ გოგიტიძის კანდიდატურის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. უბრალოდ, ის ვთქვით, რაც ქართული ჭიდაობისთვის უკეთესი იქნებოდა. ჭიდაობა ჩვენში ერთ-ერთი პრიორიტეტული სახეობაა და ჯობდა, საპრეზიდენტო არჩევნები მას შემდეგ ჩატარებულიყო, რაც სპორტის დეპარტამენტის ახალი თავკაცი გაირკვეოდა. განცხადებას რეკომენდაციის სახე ჰქონდა. ახლა კი თავად გადაწყვიტონ, როგორ ჯობია."

დეპუტატების ნაზრევი კულტურისა და სპორტის მინისტრის თანაშემწე გუგა სულხანიშვილმაც გაიმეორა. არჩევნების გადადებას კენჭიც უყარეს, მაგრამ მისი მომხრე ერთი დელეგატიც ვერ მოიძებნა და მთავარი კენჭისყრებიც დაიწყო.

ჯერ გადაწყვიტეს, რომ არჩევნები ღია კენჭისყრით ჩატარებულიყო და ხმების დამთვლელი კომისიაც უემოციოდ დაამტკიცეს. ბაკურ გოგიტიძის გაპრეზიდენტებას დარბაზში მყოფმა ას ცხრამეტივე დელეგატმა დაუჭირა მხარი, ისევე როგორც გენერალურ მდივნად ომზარ შოშიტაშვილის არჩევას. ორი ვიცე-პრეზიდენტის დამტკიცებას კი ფარული კენჭისყრა და დაახლოებით ნახევარი საათის ლოდინი დასჭირდა. საბოლოოდ ვიცეები თემურ ყაზარაშვილი და თენგიზ გეგეშიძე გახდნენ. ხოლო გურამ საღარაძე პრეზიდენტმა საზოგადოებრივ საკითხებში პირად მრჩევლად დაინიშნა. იქვე გოგიტიძემ ახალი პრეზიდიუმის არასრული სიაც გაახმაურა და პირველი საპრეზიდენტო სიტყვაც თქვა:

„ჩემი გაპრეზიდენტება თითოეული თქვენთაგანის დამსახურებაა და ვეცდები, მოლოდინი გავამართლო. მშვენივრად მაქვს გაცნობიერებული, რამხელა პასუხისმგებლობა ვიტვირთე. ჩემი პროგრამა მაქვს, რომლითაც ვიმუშავებ, ხოლო თუ საქმეს თავს ვერ გავართმევ, მზად ვარ, მომავალი წლის შემაჯამებელი სხდომის ჩატარებისთანავე გადავდგე. მომავალი სეზონის კალენდარი უკვე შედგენილია. პირველი ტურნირი იანვრის ბოლოს ჩასატარებელი ეროვნული ჩემპიონატია, როგორც ბერძნულ-რომაულ, ისე თავისუფალ ჭიდაობაში.

...არა მგონია, სპორტის დეპარტამენტში მოსალოდნელი ცვლილებები ჭიდაობაზე როგორმე აისახოს. რაც დღეს მოხდა, არანაირად არ მოველოდი. იმედია, ეს მხოლოდ გაუგებრობის ბრალია. დავით კირკიტაძე ჩემი ბავშვობის მეგობარია და მას და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს აუცილებლად შევხვდები, რათა ყველაფერი ქართული ჭიდაობის სასიკეთოდ მოგვარდეს."

ბოლოს ერთი სიახლეც, რომლის შესახებაც არათუ ჟურნალისტებმა, ჭიდაობაში მოტრიალე ხალხმაც გუშინდლამდე არაფერი იცოდა. „ამიერიდან ჭიდაობის ფედერაციას გენერალური სპონსორი ეყოლება — გვითხრა ყრილობის შემდეგ ახალმა პრეზიდენტმა — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა მზადაა, ეს მოვალეობა შეასრულოს. არის კიდევ რამდენიმე ბიზნესმენი, დახმარება რომ აღგვიქვა. ასე რომ, მუშაობა უკვე დაწყებულია."

**ოთარ მაღლაკელიძე**








# ლევან მაისაშვილი: ლელოს ტრიბუნიდან ვნახავ

*დღეს ვარკეთილის მეურნეობის მოედანზე სარაგბო ჩემპიონატის მეორე ნახევარფინალური მატჩი გაიმართება, რომელშიც ერთმანეთს თბილისის „ლელო და ბათუმის „დათვები" შეხვდებიან. ამ მატჩმა ბევრ კითხვას უნდა გასცეს პასუხი. „ლელომ", რომელმაც წლევანდელი ჩემპიონატის წრიული ეტაპი პირველ ადგილზე დაასრულა, „აკადემიასთან" მარცხის შემდეგ ფინალისაკენ მიმავალი გზა გაიმრუდა. მაგრამ, რაც უნდა იყოს, ამ ახალგაზრდულ და შეთამაშებულ გუნდს მაინც საჩემპიონო ამბიცია აქვს. თამაშამდე გავესაუბრეთ „ლელოს" და თვრამეტწლამდელ მორაგბეთა ნაკრებისა მწვრთნელ ლევან მაისაშვილს*

— **ამ სეზონში გუნდის თამაშით კმაყოფილი თუ ხართ?**

— უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად არ მაქვს. მთლიანობაში ჩემმა ბიჭებმა კარგად ითამაშეს, თუმც, არა უშეცდომოდ.

— **„დათვებთან" მატჩისთვის როგორ ემზადებით?**

— ყინავს, მაგრამ შეძლებისდაგვარად მაინც ვახერხებთ ვარჯიშს. შერკინებას და სამმეოთხედელებს თავიდან ცალ-ცალკე ვამზადებთ და ვარჯიშის ბოლოს ვაერთებთ.

— **„დათვებს" როგორ აფასებთ, მათი სუსტი და ძლიერი მხარეები თუ გაქვთ შესწავლილი?**

— მეტოქეს მეტ-ნაკლებად ვიცნობთ, მათი სტილი ჩვენთვის ახალი არ არის. წლეულს ბათუმლებს ორჯერ ვეთამაშეთ და ვიცით, საკმაოდ მძიმე შერკინება ჰყავთ. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, თამაში ჩვენი უპირატესობით უნდა წარიმართოს.

— **რომელ მოთამაშეებს გამოარჩევდით, როგორც მეტოქე, ასევე საკუთარი გუნდიდან?**

— საკუთარი გუნდიდან ვერავის გამოვარჩევ, რადგან რაგბი გუნდური თამაშია და არ არის ლამაზი, მწვრთნელმა რომელიმე მოთამაშეს მიანიჭოს უპირატესობა. თამაშის შემდეგ მაყურებელმა უნდა განსაჯოს, ვინ იყო საუკეთესო. რაც შეეხება მეტოქეს, ვეტერან მორაგბეებს გამოვყოფდი, კახა მაჩიტიძეს და გოჩა ხონელიძეს.

— **მაჩიტიძე კვლავ კარგ ფორმაშია?**

— მას დიდი გამოცდილება აქვს და სიურპრიზების გაკეთებაც ეხერხება.

— **„აკადემიასთან" წინასწარი ფინალის შემდეგ მსაჯთან კონფლიქტი მოგივიდათ და დისკვალიფიკაციაც მიგიღიათ...**

— მე არ ვთვლი თავს დამნაშავედ, თუმც კომენტარსაც არ გავაკეთებ.

— **დისკვალიფიკაციას რაც შეეხება?..**

— 6 თამაშით მომცეს დისკვალიფიკაცია, ანუ ტრიბუნიდან უნდა ვუგულშემატკივრო ჩემს ბიჭებს.

— **დისკვალიფიკაცია მომავალ ჩემპიონატზეც გავრცელდება?**

— არ ვიცი, თვითონ გაარკვევენ.

— **კონკრეტულად ვინ მოგცათ დისკვალიფიკაცია?**

— სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ.

— **ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელიც ხართ. იქაც ხომ არ შეგიშლით ეს სასჯელი ხელს?**

— არ ვიცი.

— **ახლო მომავალში ნაკრებს რა გეგმები აქვს?**

— თუ წარმატების მიღწევა გვინდა, სერიოზული მზადება აქედანვე უნდა დავიწყოთ მსოფლიოს ჩემპიონატისათვის.

— **მსოფლიოს ჩემპიონატი როდის გაიმართება და რომელ ჯგუფში ასპარეზობს ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები?**

— მარტ-აპრილში. ჩვენ უმაღლეს ლიგაში ვმონაწილეობთ.

— **როდის იკრიბებით?**

— აქამდეც უნდა შევკრებილიყავით, თუმც მიზეზების გამო მხოლოდ ერთი ტესტ-მატჩი გავმართეთ. იმედი მაქვს, ჩემპიონატის შემდეგ შეკრებას შევძლებთ.

— **თუ ფინალში გახვედით და ჩემპიონებიც გახდით, რამეს შეცვლით გუნდში? მოთამაშეების დამატებას ხომ არ გეგმავთ?**

— სეზონის შემდეგ კლუბში გვექნება კრებადა მაშინ გადავწყვეტთ. ისე, მოთამაშეების საზღვარგარეთ მივლინებასაც ვაპირებთ.

**ნინო ლეჟავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტი და ხელოვნება ერთ ალბომში აიკინძა


პაატა ნაცვლიშვილი, თამაზ თევზაძე,
ნინო ზაალიშვილი და ემზარ ზენაიშვილი

ვიცოდით, რომ სპორტი და ოლიმპიზმი ქართულ სახვით ხელოვნებაში ძალზე პოპულარული თემა იყო, მაგრამ იმ კოლექციამ, რომელიც ერთ ალბომში თავმოყრილი ვიხილეთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თუმცა, ამ 296 გვერდიანმა ალბომმაც კი ვერ დაიტია ის, რაც ამ თემაზე შექმნილა. და მაინც ეს ალბომი — „სპორტი და ოლიმპიზმი ქართულ სახვით ხელოვნებაში" — თითქმის სრულყოფილ შთაბეჭდილებას გვიქმნის იმაზე, რაც ამ სფეროში გაკეთებულა.

ამ ალბომის შექმნისა და გამოცემის იდეა ხუთი წლის წინათ დაიბადა, როცა თბილისში, ცისფერ გალერეაში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნების 10 წლისადმი მიძღვნილი გამოფენა ასეთივე თემატიკით მოეწყო. ახლა, უკვე სეოკ-ის 5 წლის საიუბილეოდ ამ ალბომმა დღის სინათლე იხილა.

გუშინ მოსწავლეთა სასახლეში სწორედ ამ ალბომის პრეზენტაცია მოეწყო. მასზე მიგვიწვიეს საქართველოს ოლიმპიურმა ფონდმა, კულტურული ოლიმპიადის საქართველოს ეროვნულმა კომიტეტმა და პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობამ, რომლებიც ამ შესანიშნავი ალბომის გამოცემის თაოსნობი და ორგანიზატორები იყვნენ.

მშვენიერ პოლიგრაფიულ დონეზე დასტამბულ ამ ალბომში თავმოყრილია არა მხოლოდ სხვადასხვა თაობის ქართველ მხატვართა, მოქანდაკეთა თუ დიზაინერთა შემოქმედება, არამედ, კარიკატურა, წიგნის გაფორმება, საფოსტო მარკების დიზაინი და მხატვრული ფოტოგრაფია.

„ზოგიერთი ნამუშევარი ამ კატალოგში პირველად დაფიქსირდა, ზოგიერთი კი მხოლოდ ამ ალბომშია არსებობს. კეთილგანწყობილი ადამიანი ალბათ სხვა ღირსებასაც მოძებნის. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ როგორც პირველი ცდა, ეს ჩვენი ნაშრომი საინტერესო და მნიშვნელოვანი უნდა იყოს საზოგადოებისთვის" — ამბობს კულტურული ოლიმპიადის საქართველოს ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტი, ჟურნალისტი პაატა ნაცვლიშვილი, რომელიც ამ ალბომის წინასიტყვაობის ავტორიცაა.

ამ რეტროსპექტული გამოცემის მეორე წინასიტყვაობის ავტორი, ხელოვნების განვითარების ცენტრის „AKT-არსის" პრეზიდენტი, ქალბატონი ნინო ზაალიშვილი კი ამბობს: „სხვადასხვა თაობის ქართველ მხატვართა, მოქანდაკეთა, დიზაინერთა თუ ფოტოხელოვანთა ნამუშევრებში აღბეჭდილია ქართული სპორტის ისტორია, მისი წარმატებები და პრობლემები, ყველაზე ხატოვანი მომენტები, ის ემოციები, რომელსაც იგი ბადებს პროფესიონალებსა თუ გულშემატკივრებში. ამ თემატიკის ნამუშევრებში გადმოცემულია შეჯიბრებების აზარტულობა, გულშემატკივართა ემოციები, ის პატივისცემა, რაც ქართველ საზოგადოებას აქვს სპორტსმენთა მიმართ."

ამ წიგნის პრეზენტაციაზე ბევრი სამადლობელი სიტყვა ითქვა საქართველოს ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილის მიმართ, ვისი წყალობითაც შესაძლებელი გახდა ალბომის გამოცემა.

თავად ბადრი პატარკაციშვილი ალბომში წერს: „სპორტისა და ხელოვნების დამაკავშირებელი ეს გამოცემა მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია ქართულ სინამდვილეში. იგი ერთი მხრივ აჯამებს ქართველ შემოქმედთა წვლილს სპორტული თემატიკის ასახვაში, მეორე მხრივ კი აძლიერებს ინტერესს სპორტისადმი, ხელს უწყობს ოლიმპიზმის პოპულარიზაციას მთელ ქვეყანაში."

**ავთანდილ ჭყვიშელი**

**ავტორის ფოტო**

ჩოგბურთი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბიჭის შერმდოგა

## ენდი როდიკს თავი სრულყოფილი ნაგონება

**ენდი როდიკი** ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში მასზედ დამაშვრალ მწვრთნელ ბრედ გილბერტს დასცილდა. განცხადებაში, რომელიც ამქრის მეორმეჩოგნემ ამ საკითხთან დაკავშირებით გაავრცელა, ამ მოულოდნელი ამბის არც ერთი მიზეზი არ არის დასახელებული: „ვფიქრობ, რომ ჩემთვის ასე აჯობებს — სწერია იქ — სხვა ყველაფერი მოთამაშისა და მწვრთნელის პირადი ურთიერთობების სფეროა და მასზე არაფერს ვიტყვი. ისე კი, ბრედთან ერთად სასარგებლო დრო გავატარე და ვუსურვებ, მომავალშიც წარმატებით ემუშავოს."

შეგახსენებთ, რომ 2003 წლის ივნისიდან დღემდე ანუ გილბერტის შეგირდობისას როდიკმა 26 მარცხის წილ 121 გამარჯვება მოიპოვა (რაც 0,823 პროცენტს შეადგენს) და შარშან აშშ-ის ღია პირველობაზე მოხვეჭილ პირველ სლემტიტულთან ერთად ჯამში 9 ტიტული იშოვა. შარშანდელი სეზონი მან ამქრის პირველოსნად გაასრულა და რაკილა საიმდროოდ 21 წლისა იყო, გამოვიდა, რომ მასზე ჭაბუკს რეიტინგსიის სათავეში სეზონი მხოლოდ ერთ ამერიკელს, სახელდობრ კი ჯონ მაკინროის გაესრულებინა.

აი, წლეულს კი როდიკმა პირველოსნის ალაგი როჯერ ფედერერს დაუთმო, თანაც ისე, რომ მასთან სამ ფინალურ შეხლაში იძლია და ჯამში უკვე 1:8-ით ჩამორჩება.

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ 2003 წლის ივნისამდელ თვეებში როდიკს 11 მარცხის წილ მხოლოდ 25 მოგება და ერთი ტიტული მოჰქონდა, ხოლო გილბერტთან დამოწაფების შემდეგ რვა მარცხის საპირწონედ 47 მოგება და 5 ტიტული მოაგროვა. მისი საამსეზონო მონავარი კი 18 მარცხის წილ 74 გამარჯვებასა და ოთხ ტიტულს შეადგენს.

„ენდისთან მეც ჩინებული დრო გავვლე — ამბობს გილბერტი — ის საუცხოო მოწაფე იყო და მეამაყება, რასაც მასთან ერთად მივაღწიე. მაგრამ მაშინ, როცა მე დარწმუნებული ვარ, რომ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია, ენდი ცოტა სხვაგვარად ფიქრობს."

ესე იგი — განხეთქილების ვაშლიც ნაპოვნია. ჩანს, ენდი თავს უკვე დიდ ჩემპიონად თვლის და მიაჩნია, რომ გზას აბეზარი მწვრთნელის წამდაუწუმი შენიშვნების გარეშეც გაიკვლევს.

ხოლო იმის შესახებ, თუ ვინ შეცვლის გილბერტს, გადაჭრით რამეს ჯერ-ჯერობით არც თავად ენდიბოი ამბობს. სხვები კი იძახიან, როდიკს აწი დონ გოლდფაინი გაწვრთნისო. ამ კაცზე კი მხოლოდ ის ვიცით, რომ ადრე ტოდ მარტინთან უმუშავია და აშშ-ის სადევისო და ოლიმპიურ ნაკრებებშიც გარჯილა.

**ლევან კელაურაძე**

ხელბურთი

### ევროპის ჩემპიონატი. ქალები

უნგრეთი. 9-19 დეკემბერი

# დანია მაინც დანაა


REUTERS ფოტო

რუმინელმა ქალებმა ფრანგები მოახრჩეს

**ევროპაში** ყველაზე ტიტულიანი ხელბურთელები დანიელი ქალები არიან. კონტინენტის ხუთ ჩემპიონატში სამჯერ იპირველეს, წლეულს კი ათენის ოლიმპიურ თამაშებშიც ყველას აჯობეს.

უნგრეთშიც სოლიდურად გამოიყურებიან და მართალია, რუმინელებთან სენსაციური წაფორხილებით (24:25) ნახევარფინალის გზა გაიმრუდეს, მაგრამ მერე ძლიერ ავსტრიელთა დამაჯერებელი ძლევით ყველაფერი რიგზეა, საგანგაშო არაფერია და ჯგუფში დარჩენილი ორივე მატჩის მოგებით უმთავრეს ფავორიტებად დარჩებიან.

ჯერაც ქულადაუკარგავმა მასპინძლებმა გერმანელებთან გაჭირვებით მოგებით წაუგებელი სერია კი გააგრძელეს, მაგრამ რუმინეთ-დანიასთან ორი ისეთი შეხლა ელით, იქნებ სულაც გამოაკლდნენ საპრიზო კონკურენტებს.

საქმე უკეთ აქვს მეორე ჯგუფის ლიდერ ნორვეგიას 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონ რუსთა დამარცხების შემდეგ და ორ თამაშში ალბათ ქულაც ეყოფა საპლეიოფო საგზურისთვის. ნორვეგია — რუსეთი გამორჩეული ჯახი იყო. ანგარიში პირველივე წუთზე გახსნა ლუდმილა პოსტნოვამ, იზაბელ ბლანკომ იქვე გაათანაბრა, მერე კი სკანდინავიელები დაწინაურდნენ და ერთ-ორ ბურთიან უპირატესობას ტაიმის ბოლომდე ინარჩუნებდნენ — 10:9.

გადამწყვეტი აღმოჩნდა შესვენების შემდეგ ოთხწუთიანი მონაკვეთი, როცა კატია ნიბერგმა და ლინ-კრისტინ რიგელუტმა სლავებს ოთხი უპასუხო გოლი გაუტანეს — 17:13. საბოლოოდ ათჯერ გამტანმა პოსტნოვამ და მისმა დაქალებმა ბოლო წუთზე ისღა მოახერხეს, რომ ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს, თუმც მარცხს მაინც ვერ გადაურჩნენ.

მეორე ჯგუფური ეტაპი ყველაზე დამაჯერებლად რუმინეთმა დაიწყო — შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონ საფრანგეთს სამარცხვინო, ექვსბურთიანი მარცხი აგემა.

### პირველი ჯგუფი

ესპანეთი 32:29 სერბეთი
უკრაინა 24:22 სლოვენია
ნორვეგია 25:24 რუსეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 3 | 0 | 0 | 78:73 | 6 |
| სლოვენია | 2 | 0 | 1 | 89:80 | 4 |
| უკრაინა | 2 | 0 | 1 | 76:76 | 4 |
| რუსეთი | 1 | 0 | 2 | 93:85 | 2 |
| ესპანეთი | 1 | 0 | 2 | 84:83 | 2 |
| სერბეთი | 0 | 0 | 3 | 84:107 | 0 |

### მეორე ჯგუფი

რუმინეთი 31:25 საფრანგეთი
უნგრეთი 26:25 გერმანია
დანია 25:22 ავსტრია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 3 | 0 | 0 | 92:77 | 6 |
| რუმინეთი | 2 | 0 | 1 | 80:75 | 4 |
| დანია | 2 | 0 | 1 | 76:71 | 4 |
| ავსტრია | 1 | 0 | 2 | 87:88 | 2 |
| გერმანია | 1 | 0 | 2 | 75:77 | 2 |
| საფრანგეთი | 0 | 0 | 3 | 77:99 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი

# უფროსების სიტყვა, ჩვენი თამაში

## უნივერსიტეტს ხელფასს დაჰპირდნენ

### დინამო VS თსუ



მამუკა ტურაშვილი



ზურაბ ტომარაძე

**პირველი** წრის ერთ-ერთი გამორჩეული მოულოდნელობა „დინამოს“ თსუ-სთან დამარცხება იყო და ეს გუნდები ხელმეორედ დღეს შეხვდებიან ერთმანეთს. მათი შეხვედრა, ცხადია, ცენტრალურადაა მონათლული და ტრადიციისამებრ კაფე „მსოფლიო სპორტში“ საგანგებო პრესკონფერენციაც მიეძღვნა.

გუნდები თავისთავად მოსაგებად გავლენ მოედანზე, მაგრამ დინამოელებს რომ უპირატესობა აქვთ, ეს თავად სტუდენტთა მწვრთნელმა მამუკა ტურაშვილმაც აღნიშნა. იმ მოგებული მატჩის შემდეგ თსუ ნიჭიერმა ბესიკ ლეჟავამ დატოვა. თან სტუდენტებს აუღებელი ხელფასების გამო ბრძოლისუნარიანობა და ხალისი დაეკარგათ, ხოლო „დინამო“ კი ბრაიკოვიჩისეული ნაკრების მოთამაშეებით — შიო ხეცურიანითა და ვალერი კილაძით გაძლიერდა. მიუხედავად ყველაფრისა, „დინამოს“ თავკაცი ზურაბ ტომარაძე ერთობ ფრთხილობს და ამბობს, შანსები თანაბარიაო. პრესკონფერენცია თსუ-ს თავკაცმა მამუკა ტურაშვილმა გახსნა თავისი გუნდის სიახლეებით...

„მგონი, გვეშველა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ჩვენსკენ გამოიხედა. უკვე შევხვდით თსუ-ს პრორექტორ თემურ ხუროძეს, რომელიც დაგვპირდა, ხელფასები უთუოდ იქნებაო. ეს ჯერჯერობით დაპირებაა და ვნახოთ, რა გამოვა. ხვალ ჩვენ სათამაშოდ გავალთ და ბოლომდე ვიბრძოლებთ, ხელმძღვანელობაც ალბათ შეასრულებს თავის სიტყვას.“

— თქვენს გუნდში არაერთი გამოუცდელი ახალგაზრდაა, თუმც მაინც სოლიდურად თამაშობთ. რა არის ამის მიზეზი? — შეეკითხნენ „დინამოს“ მწვრთნელ ზურაბ ტომარაძეს...

„თავდაპირველად ჩემი კმაყოფილება უნდა გამოვხატო იმის გამო, რომ თსუ-ში იმედის სხივმა გამოანათა და გუნდი არ დაიშალა. თსუ-ს ჩემპიონატიდან გასვლა არა მარტო სტუდენტებისთვის იქნებოდა ცუდი, არამედ ყველასთვის. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, ის სულაც არ გახლავთ გამოუცდელი მოთამაშეებით დაკომპლექტებული, ზოგს ეროვნულ ნაკრებში უთამაშია, ზოგს კი ჭაბუკთა ნაკრებში. მიუხედავად ამისა, პრობლემები საკმარისად გვაქვს, შეთამაშებას და სხვა სათამაშო კომპონენტების დახვეწას ვსაჭიროებთ. თუმც სეზონი ცუდად არ დაგვიწყია და გზადაგზა კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ თამაშის ხარისხს. ახლა ჩვენი გუნდი შესაძლებლობის 40 პროცენტს ავლენს და დაახლოებით მესამე წრისთვის ალბათ მთელი ძალით ავთამაშდებით...

...არავინ ელოდა, რომ „ავიამშენს“ დავამარცხებდით, მაგრამ ეს შევძელით, თუმც მანამდე თსუ-მ გვაჯობა. ყველაზე დამაიმედებელი კი ალბათ ისაა, რომ „დინამოს“, თუ მიღებული ქულების მხრივ განვსაზღვრავთ, საუკეთესო დაცვა ჰყავს ჩემპიონატში. ჩვენ მატჩში საშუალოდ 59 ქულას გვიგდებენ, რაც თავისთავად კარგი შედეგია.“

მწვრთნელებმა, ცხადია, უშუალოდ დღევანდელ მატჩზეც ილაპარაკეს...

მამუკა ტურაშვილი: „მომზადებულები ვართ თუ არა „დინამოსთან“ მატჩისთვის, ძნელი სათქმელია. ალბათ უფრო არ ვართ. ერთი, რაც დარწმუნებით შემიძლია, ვთქვა, ისაა, რომ ბოლომდე ვიბრძოლებთ და დანარჩენს თავად თამაში გვიჩვენებს. უპირატესობას „დინამოს“ მივანიჭებდი — ოცდაათი სამოცდაათზე.“

„ვერ დავეთანხმები თსუ-ს მწვრთნელს, როცა უპირატესობას ჩვენ გვანიჭებს — თქვა ზურაბ ტომარაძემ. ასეთი მოუმზადებელი და უხელფასო იყო წინა სეზონში „ბასკოც“, მაგრამ ხომ ნახეთ, რაც შეძლო. ასეთ განწყობას, რომ თსუ მოუმზადებელია, შეუძლია, ჩვენს გუნდს ცუდი სამსახური გაუწიოს. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ეს უარყოფითად მოქმედებს „დინამოს“ მოთამაშეებზე და მინდა, ჩვენი გუნდის ყველა წევრს მოვუწოდო, რომ სრული მობილიზაციით ითამაშონ თსუ-ს წინააღმდეგ. შანსებს კი თანაბრად შევაფასებ...“

**ირაკლი პერტაია**



# კორიმ ტორი მოიქნია

## ბურს მარჯვენა ისევ უჭრის



**კრივის** სამყაროში კორი სანდერსი ცნობილი კაცია. 2002 წელს მან უკრაინელი ვლადიმერ კლიჩკო დაამარცხა და WBO ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა, თუმცა ტიტულით ტკბობა არ დასცალდა, სამხრეთაფრიკელს პრომოუტერები აუხირდნენ და სასამართლო პროცესებზე მოუხდა სირბილი. გარდა ამისა, ცოლიც ანჩხლი გამოადგა და გვარიანად აპროწიალა ადვოკატებთან.

მოკლედ, ბურების შთამომავალი სანდერსი ჩრდილში მოექცა. ყველა უბედურებას ზედ ისიც დაერთო, რომ წლეულს აპრილში ვიტალი კლიჩკომ ძმის ჯავრი იყარა და სამხრეთაფრიკელი დაამარცხა, თუმცა მან სამშაბათს ისევ შეგვახსენა თავი ავსტრიულ ქალაქ ზელდენში.

ალპურ კურორტზე, რომელიც ზღვის დონიდან 2000 მეტრზეა, რამდენიმე საინტერესო ბრძოლა გაიმართა, ყველაზე მეტ ინტერესს კი სანდერსისა და რუსი ალეკსეი ვარაკინის დაპირისპირება იწვევდა.

ბრძოლა კორის უდავო უპირატესობით წარიმართა. პირველივე რაუნდში იხილა მაყურებელმა რინგზე გაგორებული ვარაკინი, თუმც რუსმა რაუნდის ჩამთავრება მაინც შეძლო. მეორე რაუნდში ბურმა კიდევ სამჯერ გაშხლართა ვარაკინი რინგზე და მიუხედავად იმისა, რომ რუსი ისევ წამოდგომას ლამობდა, ავსტრიელმა მსაჯმა ერიხ შტიუმფელმა იფიქრა, ეს სტუმარი კაცი ხელში არ ჩაგვაკვდესო და ბრძოლა შეყვიტა.

გამარჯვებულმა სანდერსმა კი აღნიშნა, ავსტრია ძალიან მომეწონა და ჩემს მიჯნურთან ერთად რამდენიმე დღე კიდევ დავრჩებიო. თუმცა დიდი ხნით დასვენებაც არ გამოუვა, როგორც პრომოუტერები გვპირდებიან, სამხრეთაფრიკელი შემდეგ ბრძოლას 15 იანვარს გამართავს.

**ლადო ფულუკიძე**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი




ნიუორლეანელი კრის ანდერსენი შარლოტელ კიტ ბოგანსს შეაფრინდა

14 დეკემბერი

**მილუოკი 86:89 საკრამენტო**

მილუოკი: უილიამსი (10), რედი (20), მეისონი (23), სმიტი (11), გაძურიჩი (2); ჯეიმსი (15), ფაჩულია (17 წუთი, 2 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა), გილი (2), ჰამილტონი (1)

საკრამენტო: ბიბი (27 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი), კრისტი (5), სტოიაკოვიჩი (19), ვებერი (23), მილერი (6 ქულა, 11 მოხსნა); სონგაილა (6), ჯეკსონი (3), ოსტერტაგი, ბარნსი

**ფილადელფია 110:102 დენვერი**

ფილადელფია: აივერსონი (31 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი), გრინი (17), იგუდალა (16)

დენვერი: ენტონი (29), მარტინი (25 ქულა, 10 მოხსნა), კემბი (16)

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**მინესოტა 100:89 პორტლენდი**

მინესოტა: შპრებიაკი (28), გარნეტი (19 ქულა, 19 მოხსნა), კასელი (19 ქულა, 13 პასი)

პორტლენდი: მაილზი (17), რენდოლფი (16)

*სტეფანია განაცხადში არ იყო*

**სიეტლი 108:93 ლეიკერსი**

სიეტლი: ლუისი (37), ალენი (26)

ლეიკერსი: ბრაიანტი (35), ბატლერი (16)

**იუტა 93:91 კლიპერსი**

იუტა: ოქური (19 ქულა, 13 მოხსნა)

კლიპერსი: მეჯიტი (28), ბრენდი (19)

**ატლანტა 97:108 ინდიანა**

ძირითადი დრო 91:91

ატლანტა: დელკი (22), ჰარინგტონი (21)

ინდიანა: ტინსლი (29), ფ. ჯონსი (21)

**შარლოტი 94:93 ნიუ ორლეანი**

ძირითადი დრო 86:86

შარლოტი: ოკაფორი (20)

ნიუ ორლეანი: ვესლი (23)

**დალასი 107:111 გოლდენ სტეიტი**

დალასი: სტეკპაუზი (27), ფინლი (24)

გოლდენ სტეიტი: რობინსონი (25), მერფი (20), პიეტრუსი (20), კლაქსტონი (18 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი 79:87 ნიუ იორკი**

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (22 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), უილიამსი (21), კიდი (15)

ნიუ იორკი: კროუფორდი (30)

## ევროლიგა

Euroleague

VII ტური. 15 დეკემბერი

**A ჯგუფი**

კლიმამიო 77:70 რეალი

**B ჯგუფი**

აეკ 76:75 ოლიმპია

ოლიმპია: ბოისა (17), მარკოიშვილი (4)

**C ჯგუფი**

ცსკა 86:82 სკაილაინერზი

პანათინაიკოსი 103:89 პრ ორტეზი

ტაუ 71:81 ულქერი




ბერძნები ვლადიმერ ბოისას შემოჯარვიან

## ნამეტანი ყოფილა



ძან კი ტალღაა ოაჰუს პირად. ჰავაის წყლებში ეს უცხო არ არის და არც ის, რომ ტალღას მოსერფე შეჭიდებია. „რიპ კარლოს კროს“ განთქმული შეჯიბრის განრიგი ოდნავ დაურღვევია ტალღების ნამეტანობას.



## ავტოგრაფები იოკოჰამას

გერმანელები იაპონიაში არიან. იოკოჰამაში ისინი იაპონიის ნაკრებს შეეჯიბრებიან, 9 დღეში კი სამხრეთ კორეასა და ტაილანდსაც მოივლიან. ავტოგრაფების მოყვარულები, ცხადია, არც იურგენ კლინსმანს, არც მიროსლავ კლოზეს და არც სხვებს მოასვენებენ. განსაკუთრებით კი დიდ სავაჭრო ცენტრებში, როგორშიაც წუხელ ნაკრებმა გაისეირნა.

## იტალიის თოვლში



ჩრდილო იტალიის დათოვლილ გორაკებზე თხილამურობის მსოფლიოს თასი გრძელდება. ჩრდილოეთ იტალია მეტად ლამაზია, დათოვლილი და მზიანი. 1,2 კილომეტრიანი სპრინტი კი, ასიავოს თეთრ ბილიკებზე ნორვეგიელ ბიორგენს მოუგია.



## ქალთა ომი





უნგრულ დებრეცენში გახურებულა ქალ ხელბურთელთა ევროპის ჩემპიონატი. ეს მწველი ფოტოები სწორედ უნგრელ და გერმანელ გოგონათა მეოთხედფინალური მატჩის ამბებს აღწერს. გერმანელი კლარა ვოლტერინგი და უნგრელი ტიმ ტოტი ისე შებმიან ერთმანეთს, რომ ბურთი ვეღარც დაუნახავთ. ანიტო ბორბიჟი კი მწარედ წაუქცევიათ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კულაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ილია ნანობაშვილი, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge